

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი
„ეკონომიკა და ფინანსები“

International refered and reviewed scientific journal
„Economics and Finance“

- **4** -

თბილისი / Tbilisi
2023

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University**

© ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გამომცემლობა
© Publishing house of the Institute for Economic Research and Development

UDC(უკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587-5000

<https://ganatleba.wixsite.com/ecofin>

<https://economics-and-finance.bpengi.com>

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“. გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით.

International refereed and reviewed scientific journal „Economics and Finance“. Published by the decision of Georgian Technical University’s Faculty of Business Technologie and Institute of Economic Research and Development.

ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ.

The magazine has been published since 2018, four times a year.

Журнал издается с 2018 года, четыре раза в год.

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს web-გვერდზე, ასევე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ გვერდზე.

The electronic version of the journal can be found on our website, as well as on the page of the “Iverieli” Digital Library of the National Library of the Parliament of Georgia.

SCAN ME



საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა და ფინანსები”

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: გიორგი ცაავა
ჟურნალის მთავარი რედაქტორი: დავით ჩახვაშვილი

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:

მ. ალადაშვილი (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ლ. ბახტაძე (თსუ),
რ. ბერიაშვილი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი), რ.
ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს.
გოგჩე (აფიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქეთი), მ. ვანიშვილი
(სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითი (უნგრეთი), რ. მარკს-
ბიელსკა (ვორმის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი
(განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური
(უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი
(რობინსდიელ ამსტონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ),
მ. ტროჯაკი (იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი), რ. ქუთათელაძე
(სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ), ო. ზუმბურიძე (სტუ)

International Scientific Journal “Economics and Finance”

Head of the editorial board of Journal: Giorgi Tsaava
Editor-in-Chief of Journal: Davit Chakhvashvili

Editorial board of Journal:

M. Aladashvili (Ttelavi State University), L. Bakhtadze (TSU), R. Beriashvili
(Georgian National University), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C.
Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko
(Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and
Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I.
Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer
(Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak
(Jagiellonian University, Poland), R. Kutateladz(GTU), M. Chelidze (GTU), N.
Chikaidze (GTU), O. Zumburidze (GTU)

ს ა რ ჩ ე ვ ი

ლია ანთაძე - საკვანძო კომპეტენცია და დამსაქმებელი	7
ლუკა ლორთქიფანიძე - ტენდენციები და ცვლილებები თურქეთის უძრავი ქონების ბაზარზე	17
იოსებ ბერიკაშვილი - მწვანე ტრანსფორმაციის მნიშვნელობა საქართველოს მუნიციპალური ფინანსებისათვის	23
მარიამ ჯოხაძე, ელენე ჯოხაძე, ნუნუ ნიკოლიშვილი - ინოვაციური ტექნოლოგიები თანამედროვე საკრედიტო სექტორში	36
კახაბერ ციმიშტია - ჩრდილოვანი ეკონომიკა და მსოფლიო: არსებული მაჩვენებლები და ტენდენციები	46
დავით ჩახვაშვილი - განათლების ინტერნაციონალიზაცია, როგორც შრომითი რესურსების ხარისხის ამაღლების ფაქტორი	59
თორნიკე მღებრიშვილი - გუამის საქმიანობა პოსტსაბჭოთა სივრცეში: განზრახვები, შედეგები, პერსპექტივები	72
თათია ბილისიეშვილი - მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები კონფლიქტური სიტუაციების მართვისას	82
ვალერი მოსიაშვილი, მეგი გოგნიაშვილი, მარიამ დეკანოსიძე - ფულადი მასის გაანგარიშების ფორმულის თანამედროვე ხედვები	91
გიორგი ჯამბრიშვილი - კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა, ლიკვიდობის რისკ-მენეჯმენტი	101

Contents

Lia Antadze - Key competence and the employer	7
Luka Lordkipanidze – Trends and Changes in the Turkish Real Estate Market	17
Ioseb berikashvili - The Significance of Green Transformation for Georgia's Municipal Finances	23
Mariam Jokhadze, Elene Jokhadze, Nunu Nikolishvili - Innovative technologies in the modern credit sector	36
Kakhaber Tsimintia - Shadow Economy and the World: Current Indicators and Trends	46
Davit Chakhvashvili - Internationalization of education as a factor of raising the quality of labor resources	59
Tornike Mgebrishvili - Activities of GUAM in the post-Soviet space: intentions, results, perspectives	72
Tatia Biliseishvili – Modern management methods in managing conflict situations	82
Valeri Mosiashvili, Megi Gogniashvili, Mariam Dekanosidze - Modern views of the formula for calculating the money supply	91
Giorgi Jambrishvili - Commercial bank liquidity management, liquidity risk management	101

საკვანძო კომპეტენცია და დამსაქმებელი

Key competence and the employer

ლია ანთაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასისტენტ-პროფესორი

Lia Antadze - Georgian National University SEU

Assistant professor

l.antadze@seu.edu.ge

აბსტრაქტი: საკვანძო კომპეტენციები არის ის კომპეტენციები, რომელიც სჭირდება ადამიანს განვითარებისთვის, დასაქმებისთვის, სოციალური ჩართულობისთვის და წარმატებული ცხოვრებისთვის, აღნიშნული კომპეტენციები ვითარდება მთელი სიცოცხლის მანძილზე და წარმოდგენილია ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციებში, სადაც დადგენილია რვა საკვანძო კომპეტენცია.

ყველა კომპეტენცია თანაბრად მნიშვნელოვანია და მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა გარემოში სხვადასხვა კომბინაციით. უნარები, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, გუნდური მუშაობა, კრეატიულობა და მოლაპარაკების უნარი ჩადებულია ყველა კომპეტენციაში და ერთმანეთს ავსებს.

ამჟამად, ჩვენ ვისაუბრებთ მეხუთე კომპეტენციაზე - „პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია“, რომელიც მოიაზრებს უნარების ფართო სპექტრს, დაწყებული თვითშემეცნებიდან, თანაგრძნობიდან, გაგრძელებული კრიტიკულ აზროვნებამდე.

პრონალური კომპეტენცია ფოკუსირებულია ინდივიდის თვითშემეცნებაზე, საკუთარი თავის მართვაზე, ემოციურ ინტელექტზე, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარე, დასახოს და განახორციელოს საკუთარი მიზნები.

სოციალური კომპეტენცია ტრიალებს ინტერპერსონალური, თანამშრომლობის უნარების ირგვლივ, ის მოიცავს უნარებს, როგორცაა კონფლიქტების გადაჭრა, თანაგრძნობა და ურთიერთობის დამყარება.

სწავლის კომპეტენცია, ინდივიდებს აწვდის უნარჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ცოდნის ეფექტური შეძენის, დამუშავებისა და გამოყენებისთვის. მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრას და ადაპტირებას.

აღნიშნული კომპეტენცია და მასში შემავალი უნარები ვითარდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში, ასევე თვითგანათლების მეშვეობით - ოჯახში, სკოლაში, ახლობლებში, სამსახურში და სხვა სოციალურ გარემოში.

ჩვენი სტატია ემსახურება იმის დადგენას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დამსაქმებლისთვის აღნიშნული კომპეტენციის მქონე თანამშრომელი, როგორ ესმით ამ კომპეტენციაში შემავალი უნარები და როგორ ცდილობენ დამსაქმებლები თანამშრომლების ხელშეწყობას მეხუთე კომპეტენციის განსავითარებლად.

საკვანო სიტყვები : კომპეტენცია, დამსაქმებელი, თანამშრომელი.

Abstract: Key competences are those competences that a person needs for development, employment, social inclusion and successful living, these competences develop throughout life and are represented in the recommendations of the Council of the European Union, where eight key competences are established.

All equally important, the competency can be used in different combinations in different environments. They overlap and complement each other, with skills such as critical thinking, problem solving, teamwork, creativity and negotiation embedded in all competencies.

Currently, we will talk about the fifth competence - "personal, social and learning competence", which covers a wide range of skills, from self-awareness and empathy, to critical thinking.

Personal competence focuses on an individual's self-awareness, self-management, emotional intelligence, which allows a person to understand his own strengths and weaknesses, set and implement his own goals.

Social competence revolves around interpersonal, collaborative skills, it includes skills such as conflict resolution, empathy and relationship building.

Learning competence provides individuals with the skills necessary to effectively acquire, process, and apply knowledge. It involves critical thinking, problem solving and adaptability, it helps to promote lifelong learning.

These competencies are developed throughout life, in formal and informal environments, as well as through self-education - in the family, at school, with relatives, at work and in other societies.

Our article serves to determine how important an employee with this competency is for employers, how they understand the skills included in this competency, and how they try to encourage employees to develop this competency.

Key words: competence, employer, employee.

შესავალი: ყველას აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების, მომზადებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უფლება, რათა შეიძინოს და შეინარჩუნოს უნარები, რომელიც საშუალებას აძლევს იყოს საზოგადოების სრულყოფილი მონაწილე და მზად იყოს მუდმივი გამოწვევებისთვის. ყველა ადამიანს აქვს დროული და მოთხოვნაზე დაფუძნებული დახმარების მიღების უფლება, დასაქმების, ან თუნდაც თვითდასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით.

ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციების თანახმად, საკვანძო კომპეტენციები პასუხობს ინკლუზიური და მდგრადი განვითარების, სოციალური ჩართულობისა და დემოკრატიული კულტურის განვითარების საჭიროებებს, შესაბამისად მისი მიზანია, ხელი შეუწყოს თანასწორ და დემოკრატიულ საზოგადოებას.¹

საკვანძო კომპეტენცია არის ის, რაც ყველა ადამიანს სჭირდება საკუთარი პიროვნული განვითარების, დასაქმების, ცხოვრების მდგრადი წესის, ჩართულობისა და წარმატებული ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული კომპეტენციები ვითარდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში, ასევე თვითგანათლების მეშვეობით - ოჯახში, სკოლაში, ახლობლებში, სამსახურში და სხვა საზოგადოებრივ წრეში.²

„პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია“ იძლევა საკუთარ მოქმედებაზე ინფორმაციის მართვის, სხვებთან მუშაობის, მდგრადობის, საკუთარი განვითარების, კარიერის მართვის შესაძლებლობას, რომელიც მოიცავს გარკვეულ სირთულეებს, იმის სწავლას, თუ როგორ უნდა ისწავლო, საკუთარი ემოციური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და კონფლიქტების მართვა. უფრო ზუსტად, ამ კომპეტენციას აქვს შესაბამისი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომ სოციალური მონაწილეობისთვის აუცილებელია, სხვადასხვა საზოგადოებაში აუცილებელი, საერთოდ მიღებული ქცევის კომუნიკაციის წესების გაგება და გამოყენება. ცოდნასთან ერთად აუცილებელი უნარები, რომელიც სირთულეებთან გამკლავებას, კრიტიკულ აზროვნებას უწყობს ხელს, ადამიანები უნდა იყვნენ სტაბილურები და შეემლოთ სირთულეების გამკლავება, გუნდთან თანამშრომლობა და მოლაპარაკება. აღნიშნული კომპეტენცია

¹ ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია 22 მაისი 2018, მთელი სიცოცხლის მადილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ

² საკვანძო კომპეტენციები, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, თბილისი 2006.

ასევე ეფუძნება პიროვნებული, სოციალური და ფიზიკური კეთილდღეობისადმი დადებით დამოკიდებულებას, თანამშროლობას და სხვების განსხვავებულობის პატივისცემას.³

აქამდე ჩატარებული კვლევებით, რომელიც ორიენტირებულია ზრდასრულთა კომპეტენციის შეფასებაზე, ცხადყო, რომ არსებობს რიგი სირთულეები, ზრდასრულთა ერთ მესამედს აქვს წიგნიერებისა და ციფრული უნარების დაბალი დონე.⁴ შესაბამისად, ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენს გავარკვიოთ ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციის, მეხუთე კომპეტენციას, როგორ აღიქვამენ ქართველი დამსაქმებლები და შემდეგ, როგორ ცდილობენ თანამშრომლების ხელშეწყობას.

შრომის ბაზარი და პიროვნული კომპეტენცია: საქართველო თავისი მდიდარი ისტორიითა და კულტურით გამორჩეულია, მაგრამ საინტერესოა იმ გარემოების დადგენა, თუ დღეს დამსაქმებლები აღნიშნულ კომპეტენციის ქონას პოტენციურ დასაქმებულებში რამდენად ეძებენ და შემდეგ როგორ ცდილობენ წარმოდგენილის განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნულიდან გამომდინარე გავწერეთ კვლევის მეთოდოლოგია და ჩატარებულ იქნა თვისებრივი კვლევა, რომლის შედეგებმაც საინტერესო მიგნებებზე გავვიყვანა.

კვლევის მიზანია დაგვედგინა - „პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია“ როგორ ესმის ქართველ დამსაქმებლებს და რა მექანიზმებით ცდილობენ დასაქმებულების ხელშეწყობას.

პირველ ეტაპზე, ჩვენ გავაანალიზეთ არსებული ვაკანსიები, (რომლებიც განთავსებულია შესამაბის საიტებზე) და გამოვყავით

³ Council Recommendation on Key Competences for Lifelong Learning <https://education.ec.europa.eu/focus-topics/improving-quality/key-competences>

⁴ ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია 22 მაისი 2018, მთელი სიცოცხლის მადილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ

ძირითადი მოთხოვნების ჩამონათვალი, რომელსაც ითხოვს დღევანდელი დამსაქმებლები სამსახურების შინაარსის, სირთულის და სფეროს მიუხედავად: „*ეფექტური კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ცვლილებებთან ადაპტირება, დროის ეფექტურად მართვა, სტრესულ გარემოში შეგუება*“, ხოლო დამატებითი მოთხოვნები დამოკიდებულია სფეროსა და სამსახურის შინაარსზე.

აღნიშნული უნარები ზუსტადაც რომ გადის „პერსონალურ, სოციალურ და სწავლის კომპეტენციებზე“, შეიძლება ითქვას დამსაქმებლების უმეტესობა, თითქმის ყველა ვაკანტურ პოზიციასზე მოითხოვს დასაქმებულისგან აღნიშნულ კომპეტენციას, თუმცა საინტერესოა როგორ ესმით წარმოდგენილი კომპეტენციის შინაარსი და რას სთავაზობენ უკვე მათ თანამშრომლებს. შესაბამისად ჩვენი შემდეგი ნაბიჯი განხორციელდა შემდეგნაირად, რომ დაიგეგმა *თვისებრივი კვლევა, მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე, გამოკითხულ იქნა ექვისი სხვადასხვა შინაარსის კომპანიის მენეჯერები, სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით, ხოლო სადისკუსიო კითხვები შედგენილ იქნა ვაკანსიებში მოთხოვნილი უნარების საფუძველზე*. რის საფუძველზეც მივიღეთ მიგნებები, რომ დამსაქმებელი, რომელიც ეძებს ეფექტური *კომუნიკაციის* მქონე ადამიანს, ეფექტურ კომუნიკაციაში გულისმობენ ნაკლებად კონფლიქტურ ადამიანს, რომელსაც ექნება უნარი, მოუსმინოს და გაითვალისწინოს მენეჯერისა და ორგანიზაციის შეხედულება.

მეორე, ჩვენი სადისკუსიო საკითხი უკავშირდებოდა „გუნდურ მუშაობასთან“, რაც მენეჯერებისთვის ასოცირდება მხოლოდ და მხოლოდ თანამშრომლობასთან, გამოკითხულთა თითქმის უმრავლესმა აღნიშნავს, რომ თანამშრომელი არ უნდა იყოს კონფლიქტური პიროვნება. რეალურად ორივე კითხვამ გავიყვანა შედეგზე, რომ დამსაქმებლის მთავარი მოთხოვნა არის ნაკლებად კონფლიქტური, მორჩილი თანამშრომელი. აქვე აღსაღნიშნია, რომ ზოგიერთი კომპეტენციის მნიშვნელობა ხშირ შემთხვევაში გამოკითხული დამსაქმებლისთვის სწორად არ არის აღქმული. (მაგ: ეფექტურ კომუნიკაციას უკავშირებს კრიტიკულ აზროვნებას).

ბოლო, რაც შეეხება „ცვლილებებთან ადაპტაციის უნარს“, დამსაქმებლების უმრავლესობა აღნიშნულს აღიქვამს და განმარტავს შემდეგნაირად, რომ პერსონალი მუდმივად მზად უნდა იყოს გაითვალისწინოს ორგანიზაციის ახალი შემოთავაზება, გადაწყვეტილება და პასუხისმგებლობით დამლიოს ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ყველა სიახლე.

ასევე, „დროის ეფექტურად მართვის უნარში“, დამსაქმებლები თანამშრომლებისგან ელოდებიან დავალების დროულ შესრულებას და იმ სამუშაო დატვირთვას, რაზეც თავიდანვე შეთანხმებულები იყვნენ, მეტიც დროზე ადრე შესრულებული სამუშაოს მიუხედავად, თანამშრომელმა სასურველია დაიცვას წესები და დაელოდოს სამსახურში გაწერილ გრაფიკს.

და ბოლო, ჩვენი სადისკუსიო საკითხი მდგომარეობა, თუ რა მექანიზმებით, ან რა საშუალებებით ხდება თანამშრომლების ხელშეწყობა აღნიშნული კომპეტენციის განვითარების თვალსაზრისით, სადაც ძირითადად დამსაქმებლებმა დაასახელა „ტრენინგების“ ჩატარება, რომელიც უკავშირდება ისევ და ისევ ორგანიზაციაში დაგეგმილ სიახლეებს.

წარმოდგენილმა კვლევამ, რომელიც ვაკანსიების გაანალიზების და მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე განხორციელდა, ექვსი განსხვავებული კომპანიის დამსაქმებლებთან, ცხადყო რომ დამსაქმებლები მოითხოვენ თანამშრომლებისგან იმ კომპეტენციის ქონას, რომელსაც ჰქვია „პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია“, თუმცა კონკრეტული კომპეტენციის მრავალფეროვანი უნარები მათთვის ასოცირდება: გულისხმიერ, ნაკლებად მემამოხე, არაკონფლიქტურ, პასუხისმგებლიან, მორჩილ ადამიანთან, რომელიც იქნება პოზიტიური შემსრულებელი და ნაკლებად ამახვილებენ იმ უნარებზე ყურადღებას, როგორცაა კრიტიკული, კრეატიული და ინოვაციური აზროვნება, ასევე უჭირთ დაასახელონ ტექნიკები,

რომელიც ზემოთ წარმოდგენილი კომპეტენციის განვითარებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეუწყობს ხელს.

კვლევის შეზღუდვა: აღნიშნული კვლევა ჩატარდა მცირე რაოდენობის დამსაქმებლებთან, აქედან გამომდინარე მონაცემები არ იძლევა შედეგების განზოგადების საშუალებას.

შეჯამება: და ბოლოს, „პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია“ არის კომპეტენცია, რომელიც ვითარდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში და განსაკუთრებით სამსახურებში.

კომპეტენცია, რომელიც მოიაზრებს თანამშრომლების გუნდური მუშაობის, ეფექტური კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და ა.შ უნარს, დამსაქმებლების უმატესობისთვის აღნიშნული მეტნაკლებად ასოცირდება თანამშრომლობასთან, მორჩილ და არაკონფლიქტურ ადამიანთან, დამსაქმებლები ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას ინიციატივების მქონე კადრებზე, მეამბოხე და ორიგინალური გადაწყვეტილების მქონე კადრებისგან თავს შორს იჭერენ. მეტიც, ორგანიზაციებს უჭირთ დასახელება, კონკრეტულად რა საშუალებებით ცდილობენ თანამშრომლებში აღნიშნულის განვითარების ხელშეწყობას.

პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენციების ხელშეწყობა არა მხოლოდ ევროპული საბჭოს რეკომენდაციაა, არამედ ეს არის განვითარების ხელშეწყობი მექანიზმი, ამ მხრივ მნიშვნელოვანია შესაბამისი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის დაგეგმვა, დასაქმების სფეროების და შინაარსის მიხედვით დაჯგუფება და შესაბამისი ინტერვიუების განხორციელება, ხოლო მიგნებების შედეგად მძლავრი კამპანიების წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს დამსაქმებლების ინფორმირებას და დასაქმებულებში კომპეტენციის უნარების განვითარების ხელშეწყობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დარჩია ი., მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გზამკლევით, თბილისი, 2009;
2. ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია 22 მაისი 2018, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ;
3. საკვანძო კომპეტენციები, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, თბილისი 2006;
4. Council Recommendation on Key Competences for Lifelong Learning <https://education.ec.europa.eu/focus-topics/improving-quality/key-competences>.

ტენდენციები და ცვლილებები თურქეთის უძრავი ქონების ბაზარზე

Trends and Changes in the Turkish Real Estate Market

ლუკა ლორთქიფანიძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
მაგისტრანტი

Luka Lordkipanidze – Master's student of Georgia National University
l.lordkipanidze@seu.edu.ge

Already in December 2022, we felt a decline in demand and by June 2023, that is, immediately after the second round of the presidential elections, it reached its apogee.

It should be noted that 2022 was a year of accelerated demand, when people bought real estate, even if they had not previously planned. Many Russians then decided to acquire an alternate airfield. This also affected the types of requests. In particular, if previously only three out of ten buyers needed a residence permit, now all ten, including those who did not plan to move to Turkey. There was an unprecedented boom in the market, after which in 2023 there was a sharp rollback and stagnation.

There are several reasons for the cooling, but the main ones lie in government policy. When active, often panicky, migration began to Turkey in 2022, the authorities began to try to limit it. The first measures were not particularly effective in this regard in the sense that they did not dampen foreign demand. I mean the introduction from May 5, 2022 of the threshold for the cost of an apartment for obtaining a residence permit on the basis of a purchase (75,000 US dollars for large cities) and the increase from 13 June 2022 of the investment threshold under the investment citizenship program (from 250,000 to 400,000 US dollars) . However, further tightening has borne fruit. In mid-summer 2022, the authorities closed the most popular areas for foreigners in Antalya, Alanya, and Istanbul for obtaining a primary residence

permit. Then, at the end of last year, they stopped issuing tourist residence permits based on rental housing. As a result, some doubters left Turkey.

The election race starts at the beginning of 2023. Each of the two main candidates, the incumbent and the main opposition figure, begins to take the demands of their electorate to the media. At this moment, the words of the opposition voiced especially loudly that it was foreigners who influenced the increase in the cost of renting and purchasing housing. It is no secret that most Turks live in rented apartments, and in tourist regions, rental rates have sometimes increased 3-4 times due to the influx of foreigners. As the elections showed, many people considered the opposition's demand to completely ban the sale of real estate to foreigners for some period of time to be fair. Despite the fact that the current president won by a small margin and received the majority of parliamentary mandates, he cannot relax. In 2024, municipal elections are coming up, which were lost by his party last time, and lost very seriously, since cities such as Istanbul, Ankara, Antalya, and Mersin left their influence. The president's team understands the sentiments of half the population and is trying to somehow soften the electorate against the backdrop of continuing inflation. They cannot completely prohibit the sale of real estate to non-residents, so they are introducing restrictions, which this time should greatly affect the influx of buyers from foreign countries.

In October 2023, the authorities raised the threshold for the value of real estate for a residence permit to \$200,000, and now take into account the cadastral value. This in fact means that an apartment should cost at least \$300,000 in those regions where the cadastral value is lower than the market value, which is the majority of Turkish regions. From January 1, 2024, the investment threshold for citizenship has also, according to preliminary information, been raised to \$600,000.

However, that's not all. The government, trying to solve the problem with the availability of rental housing for the local population, introduced restrictions on the rental of real estate for short-term rent. The amendments

have not yet entered into force, but from the new year they will be applied in practice. This measure cooled investors who were planning to buy an apartment for short-term rental.

It should be noted that when introducing certain restrictions, the authorities behave rather strangely, without giving any explanations to these laws and amendments. It seems that they just panickedly pressed the stop valve in order to please the locals and ask later if it helped - it didn't help.

Today there are practically no buyers in the market. The market stood up without exaggeration. The goal set by the state – to stop the influx of migration – has definitely been achieved. How intelligent she is is another matter.


If we talk about the forecast for 2024, then at a minimum, explanations should be given to the adopted laws and instructions on how to apply this in practice. It is not yet clear what will happen to rent, for example. There is no clarity on the investment threshold based on cadastral value. What will it look like with those projects for which tapu (ownership certificates) have already been issued, and they are already going according to an underestimated cadastral register. They say that the expert value will be equal to the cadastral value. In a word, there are many questions, but so far few answers.

At times like today on the market, secondary real estate becomes cheaper, and developers give “fabulous” conditions.

Some companies lower the down payment for installments to 10%, whereas under normal circumstances it is at least 30%. Many extend the installment plan for a period after construction is completed. Now

General Trends: In September 2023, 102 thousand 656 houses were sold in Turkey. However, a year-on-year comparison shows a 9.5% decline in sales. Istanbul leads the way in sales with 14.9%, followed by Ankara (8.8%) and Izmir (5.3%). The smallest number of houses sold was registered in Ardahan, Hakkari and Bayburt.

Foreign Investors: Citizens of the Russian Federation lead the number of acquired properties in Turkey with 722 transactions, followed by citizens of Iran (327), Iraq (191) and Germany (148). However, home sales to foreigners in September decreased by 42.0%, reaching 2 thousand 930.




Mortgages and Market Trends: An important aspect of the market is mortgage lending. In September, 8 thousand 446 mortgage loans were sold, which is 50.2% less than last year. The average cost of housing in Turkey in September was 106,811 US dollars, and the average living area was 130 sq.m. Sales of mortgage housing in January-September decreased by 29.6%, amounting to 160,884 transactions.

Price dynamics: Housing prices in Turkey continue to rise. In October 2023, prices increased by 37.52%. The highest prices per square meter were recorded in the city of Mugla (\$1,908), followed by Aydin (\$1,102) and Istanbul (\$1,247). The average depreciation of real estate in the country is 17 years.

Regional Features: If we consider the cities with the best depreciation, then in October 2023 these are Sirnak, Ankara, Kilis, Bilecik, Eskisehir. Mugla, Aydin, Burdur, Artvin, Balikesir have the lowest depreciation. Trend Analysis and Forecasts in the Turkish Real Estate Market: Decline in Sales to Foreigners and Mortgage Housing

October 2023 marked a 42.0% decline in home sales to foreigners. This trend is caused by various factors such as changes in entry regulations, global economic fluctuations and domestic political events. For foreign investors, this may create a more conservative attitude towards purchasing property in Turkey.




A significant decline in mortgage transactions is also noticeable – a decrease of 50.2%. This may be due to an increase in interest rates or a change in financial policy in the country. Mortgage loans are becoming less available, which is affecting the decisions of many buyers.

Rising Prices and Continuing Dynamics: Despite the decline in sales volumes, real estate prices continue to rise rapidly. According to the data, house prices increased by 37.52% in October 2023. This may be due to growing domestic demand and the influence of factors such as the construction of new facilities and renovation of old ones.

It is important to note that different regions are experiencing different growth rates. Cities such as Muğla and Aydın stand out for particularly high rates of price growth, which may be of interest to investors, but at the same time indicates the possibility of revaluation of real estate in these regions.

Recommendations for Investors: Analyze Regional Features: When choosing a location for investment, it is important to consider regional features. Growing demand in one city may not match what is happening in another. An in-depth market analysis will help you choose the best place to invest.



Explore the Prospects of Foreign Investors: Given the decline in sales to foreigners, it is worth keeping a close eye on the dynamics. Perhaps changes in legislation or foreign policy events may affect interest in Turkish real estate.

Follow Mortgage Trends: Mortgages remain an important tool for many buyers. Assess current lending trends and understand how they may impact supply and demand in the real estate market.

Pay Attention to Growth Prospects: Regions with high rates of price growth may provide attractive investment opportunities. However, it is worth assessing how sustainable these trends are in the long term.

Consult the Experts: Before making a decision, consult local experts and real estate consultants. Their experience and market knowledge will help you make informed decisions.

As a result, despite the challenges, the Turkish real estate market provides diverse opportunities for investors. The key to successful investing is careful analysis and preparation for changing market conditions.

Bibliography:

- THE TURKISH HOUSING MARKET IN 2023 - <https://housearch.com/en/blog/post/the-turkish-housing-market-in-2023/>
- Turkish Real Estate Market - <https://www.propertyturkey.com/blog-turkey/turkish-economic-future-and-real-estate-market>
- <https://www.colliers.com/en-tr/research/202308803-2023-1h-review>
- <https://www.statista.com/outlook/fmo/real-estate/turkey#value>
- HOW DO TURKEY HOUSE PRICES FALL, WHO SHOULD DO WHAT? - <https://residencepermitturkey.com/house-prices>
- Turkish Real Estate Market Update July'23 - <https://www.linkedin.com/pulse/turkish-real-estate-market-update-july23-nestinvesthq>
- Turkish Real Estate Market Update November'23 - https://www.linkedin.com/pulse/turkish-real-estate-market-update-november23-nestinvesthq-gmbff?trk=article-ssr-frontend-pulse_more-articles_related-content-card
- Turkey's Housing Market Surges: 90.3% Price Increase in 2023 - <https://www.istanbulrealestate.net/turkeys-housing-market-surges-90-3-price-increase-in-2023>
- Turkey Residential Real Estate Market Analysis 2023 - <https://www.globalpropertyguide.com/europe/turkey/price-history>

მწვანე ტრანსფორმაციის მნიშვნელობა საქართველოს
მუნიციპალური ფინანსებისათვის
**The Significance of Green Transformation for Georgia's Municipal
Finances**

იოსებ ბერიკაშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტი

Ioseb Berikashvili – Tbilisi State University,
PhD student

Ioseb.berikashvili@gmail.com

Abstract: The article discusses the critical role of green transformation in Georgia's municipal finances. It highlights the synergy between economic development and environmental sustainability, emphasizing the potential for generating revenue and cost savings through green initiatives like renewable energy and efficient waste management. Case studies from cities like Copenhagen and Curitiba demonstrate successful implementations of sustainable urban practices. Challenges for Georgia include high initial costs and the need for infrastructural upgrades and policy frameworks. The article advocates for comprehensive green policies, public awareness, and leveraging international experiences to foster sustainable local development in Georgian municipalities.

Keywords: Green Transformation; Municipal Finance; Sustainable Development; Climate Change; Renewable Energy

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია მწვანე ტრანსფორმაციის კრიტიკული როლი საქართველოს მუნიციპალურ ფინანსებში. იგი ხაზს უსვამს ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს მდგრადობას შორის სინერგიას, ხაზს უსვამს შემოსავლების გენერირების და ხარჯების დაზოგვის პოტენციალს მწვანე ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორცაა განახლებადი ენერჯია და ნარჩენების ეფექტური მართვა. შემთხვევების კვლევები ქალაქებიდან, როგორცაა კოპენჰაგენი და კურტიბა, აჩვენებს მდგრადი ურბანული პრაქტიკის წარმატებულ

მაგალითებს. საქართველოს გამოწვევები მოიცავს მაღალ საწყის ხარჯებს და ინფრასტრუქტურული განახლებისა და პოლიტიკის ჩარჩოების საჭიროებას. სტატია ემხრობა ყოვლისმომცველ მწვანე პოლიტიკას, საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებას საქართველოს მუნიციპალიტეტებში მდგრადი ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობისთვის.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ტრანსფორმაცია; მუნიციპალური ფინანსები; მდგრადი განვითარების; კლიმატის ცვლილება; განახლებადი ენერჯია

შესავალი: ბოლო წლებში საქართველომ დაიწყო ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების ახალი ეტაპი, რამაც მდგრადი პრაქტიკის მნიშვნელობა მისი პოლიტიკური დღის წესრიგის წინა პლანზე დააყენა. მუნიციპალური ფინანსების განვითარება არის ამ ევოლუციის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, ტრადიციული ფისკალური მენეჯმენტი ვერ აკმაყოფილებს მდგრადობის თანამედროვე გამოწვევებს. რამდენადაც საქართველოს ქალაქები და მუნიციპალიტეტები ეჩხებიან ისეთ საკითხებს, როგორცაა უკონტროლო ურბანიზაცია, გარემოს დეგრადაცია და ეკონომიკური პირობების ცვლილება, მწვანე ტრანსფორმაციის ინტეგრაცია მუნიციპალურ საფინანსო სისტემებში ხდება აუცილებელი და ზოგ შემთხვევაში შესაძლოა იყოს ეკონომიკური სარგებლის მომტანიც (გრძელვადიან პერიოდში). მწვანე ტრანსფორმაცია მუნიციპალური ფინანსების კონტექსტში გულისხმობს ეკოლოგიურად მდგრადი პრაქტიკის, ტექნოლოგიებისა და პრინციპების ჩართვას ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ დაგეგმარებასა და ოპერატიულ საქმიანობაში. ეს მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს, დაწყებული მწვანე ბიუჯეტირებიდან და ინვესტიციებიდან მდგრად ინფრასტრუქტურაში, ეკოლოგიურად სუფთა პოლიტიკისა და პრაქტიკის პოპულარიზაციამდე, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან გარემოსდაცვით და ფინანსურ სიჯანსაღეს.

საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მრავალფეროვნების, მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწვანე ტრანსფორმაციის ინიციატივების დანერგვა. ქვეყნის მრავალფეროვანი ლანდშაფტი, შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან მის მთიან რეგიონებამდე, წარმოადგენს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს მდგრადი პრაქტიკის დანერგვისას. აქედან გამომდინარე, საქართველოს მუნიციპალიტეტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, გახდნენ პიონერები მწვანე ინიციატივების ფინანსურ და განვითარების გეგმებში ინტეგრირებისთვის.

გლობალურად, ინტერესი მდგრადობის საკითხებისადმი სულ უფრო და უფრო მატულობს, მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად უფრო მეტი ქალაქი აღიარებს კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად მწვანე პოლიტიკის მიღების აუცილებლობას. საქართველო შეიძლება ცოტა ჩამორჩება ამ გლობალურ ტენდენციებს, თუმცა დეკლარირების დონეზე ჩვენ ბევრი ვალდებულება გვაქვს აღებული, რაც ასახულია ჩვენს სტრატეგიულ დოკუმენტებში. საქართველოს შეუძლია გახდეს კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლიათ განვითარებად ეკონომიკებს დანერგონ მწვანე ტრანსფორმაცია მუნიციპალურ ფინანსებში.

ეს სტატია მიზნად ისახავს აჩვენოს მწვანე ტრანსფორმაციის მნიშვნელობა, პოტენციური სარგებელი და გამოწვევები საქართველოში მუნიციპალური ფინანსების კონტექსტში. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ქართული სცენარის შესწავლით და სტრატეგიული რეკომენდაციების შეთავაზებით, ჩვენ მიზნად ვისახავთ ჩამოვყალიბოთ კონცეფცია, თუ როგორ შეიძლება იყოს მწვანე ტრანსფორმაცია საქართველოში მდგრადი ადგილობრივი განვითარების კატალიზატორი.

მწვანე ტრანსფორმაციის პოტენციური გავლენა მუნიციპალურ ფინანსებზე

- *ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სინერგია*

მუნიციპალური ფინანსების მწვანე ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი დღის წესრიგი ნაწილი; ის წარმოადგენს ეკონომიკურ შესაძლებლობას საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის. ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვას შორის არსებული ეს სინერგია არის მდგრადი მუნიციპალური ფინანსების საფუძველი.

- *შემოსავლების გენერირება მწვანე ინიციატივების მეშვეობით*

მწვანე ტრანსფორმაციის მნიშვნელოვანი ასპექტია მისი პოტენციალი შემოსავლის ახალი ნაკადების გაჩენისთვის. ინიციატივები, როგორცაა განახლებადი ენერჯის პროექტები (მზე, ქარი, ჰიდროელექტროენერჯია), მდგრადი ტურიზმი და მწვანე ურბანული განვითარების პროექტები ერთი მხრივ ინვესტიციებს იზიდავს, მეორე მხრივ კი შემოსავალი, რომელიც ამ ინვესტიციებიდან გამომჟღავნდება, უფრო მდგრადი და გრძელვადიანია. მაგალითად, საქართველოს მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის გამოყენებამ შეიძლება გარდაქმნას ადგილობრივი ეკონომიკა და ენერგეტიკული დამოკიდებულება, შექმნას შემოსავალი როგორც შიდა მოხმარებით, ასევე ენერჯის ექსპორტით.

- *ხარჯების დაზოგვა ენერგოეფექტურობისა და ნარჩენების მართვის განვითარების საშუალებით*

კარგად დაგეგმილი მდგრადი პრაქტიკა იწვევს მუნიციპალიტეტების ხარჯების მნიშვნელოვან დაზოგვას. ენერგოეფექტურ საზოგადოებრივ შენობებსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია ამცირებს ენერჯის გრძელვადიან ხარჯებს. უფრო მეტიც, ნარჩენების მართვისა და გადამუშავების ეფექტურმა პროგრამებმა შეიძლება შეამციროს მუნიციპალური ხარჯები ნარჩენების დამუშავებისა და ნაგავსაყრელის გამოყენებაში. ეს დანაზოგი შეიძლება გადამისამართდეს სხვა

მუნიციპალურ საჭიროებებზე, რაც აძლიერებს საერთო ფინანსურ სიჯანსაღეს.

- *სიცოცხლისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და ინვესტიციების მოზიდვა*

მწვანე ქალაქები იზიდავენ ინვესტიციებს. მწვანე სივრცეების, სუფთა ჰაერის და მდგრადი ინფრასტრუქტურისთვის პრიორიტეტების მინიჭებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გააუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები, რაც თავის მხრივ მოიზიდავს არამხოლოდ ბიზნესებს, არამედ მოსახლეობასაც. როგორც ვიცით, საქართველოს ბევრ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში არის დემოგრაფიული პრობლემები. ამან შეიძლება გაზარდოს საგადასახადო ბაზა და წახალისოს ადგილობრივი ეკონომიკა, შექმნას ზრდისა მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი.

- რისკის შერბილება და გრძელვადიანი მედეგობა

მწვანე ტრანსფორმაცია ასევე გადაწყვეტ როლს თამაშობს გარემოსდაცვითი რისკის შერბილებაში. ისეთი საკითხების გადაწყვეტით, როგორცაა დაბინძურება და კლიმატის ცვლილება, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შეამცირონ გარემოსდაცვითი კატასტროფების რისკი, რაც ხშირად დიდ ეკონომიკურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. საქართველოს არაერთი მსგავსი სამწუხარო გამოცდილება აქვს, მათ შორის უახლოეს წარსულშიც. მდგრადი პრაქტიკები ხელს უწყობს გრძელვადიან მდგრად განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს გაუძლონ გარემოსდაცვით გამოწვევებს ფინანსური სტაბილურობის დარღვევის გარეშე.

- სოციალური სარგებელი და საზოგადოების ჩართულობა

დაბოლოს, მუნიციპალური ფინანსების მწვანე ტრანსფორმაციას მნიშვნელოვანი სოციალური შედეგები აქვს. მწვანე ინიციატივებში თემების ჩართვით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გააძლიერონ საკუთრების და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა

მოსახლეობაში. ეს ჩართულობა არა მხოლოდ ეხმარება მწვანე პროექტების წარმატებულ განხორციელებას, არამედ აძლიერებს საზოგადოების კავშირებს და სოციალურ ერთიანობას.

შემთხვევის ანალიზი: მწვანე ტრანსფორმაციის გლობალური და რეგიონული მაგალითები მუნიციპალურ ფინანსებში

შემთხვევა 1: კოპენჰაგენი, დანია - ლიდერი მდგრადი ურბანული ცხოვრების სფეროში

კოპენჰაგენი გლობალურად არის აღიარებული მდგრადობისადმი ერთგულებისთვის, მისი მიზანია გახდეს მსოფლიოში პირველი ნახშირბად ნეიტრალური დედაქალაქი 2025 წლისთვის. ქალაქის ინიციატივები მოიცავს საველოსიპედე ინფრასტრუქტურას, ენერგოეფექტურ შენობებს და განახლებადი ენერჯის პროექტებს. ამ ინიციატივებმა არა მხოლოდ გააუმჯობესა ქალაქის გარემოსდაცვითი მდგომარეობა, არამედ მოიზიდა მწვანე ინვესტიციები და გაზარდა ადგილობრივი ეკონომიკა. კოპენჰაგენის ინტეგრირებული მიდგომა პოლიტიკის, საზოგადოების ჩართულობისა და მწვანე ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მიმართ საქართველოს ქალაქებს მდგრადი ურბანული განვითარების მოდელს სთავაზობს.

შემთხვევა 2: კურიტიბა, ბრაზილია - ინოვაცია ურბანულ მდგრადობაში

კურიტიბა ცნობილია თავისი ინოვაციური ურბანული დაგეგმარებით, ის არის პიონერი ქალაქის მდგრადი განვითარების სფეროში 1970-იანი წლებიდან. ქალაქმა განახორციელა ცნობილი ავტობუსების სწრაფი ტრანზიტის (BRT) სისტემა, განავითარა ფართო მწვანე სივრცეები და ნარჩენების გადამუშავების ეფექტური პროგრამები. ამ ინიციატივებმა განაპირობა ხარჯების დაზოგვა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესება და ქალაქის მიმზიდველობა ტურისტებისა და ინვესტორებისთვის. კურიტიბას წარმატება ხაზს უსვამს ვიზიონერული ლიდერობისა და პოლიტიკური ურბანული დაგეგმარების

მნიშვნელობას მწვანე ტრანსფორმაციაში, რაც აქტუალურია საქართველოს ურბანული ცენტრებისთვის.

შემთხვევა 3: ფრაიბურგი, გერმანია - ეკო-მეგობრული ქალაქი

ფრაიბურგი ხშირად მოიხსენიება, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი და სასიცოცხლოდ ხელსაყრელი ქალაქი, რომელსაც დიდი აქცენტი აქვს გარემოსდაცვით პრაქტიკაზე. ძირითადი ინიციატივები მოიცავს მზის ენერჯის გამოყენებას, მდგრად ტრანსპორტირებას და მწვანე შენობის სტანდარტებს. ამ ინიციატივებმა გამოიწვია ენერჯის მნიშვნელოვანი დაზოგვა, გაძლიერებული მწვანე ეკონომიკა და ცხოვრების მაღალი სტანდარტები. ფრაიბურგის გამოცდილება მდგრადი მშენებლობისა და განახლებადი ენერჯის სფეროებში შეიძლება კარგი სახელმძღვანელო იყოს საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის მსგავსი მწვანე სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დანერგვაში.

შემთხვევა 4: რეგიონალური მაგალითი - კიგალი, რუანდა

კიგალი არის აფრიკის კონტინენტის ლიდერი მდგრადობის კუთხით იგი ფოკუსირებულია სუფთა და მწვანე ინიციატივებზე. კიგალის პრაქტიკა მოიცავს მკაცრ რეგულაციებს პლასტმასის გამოყენებასთან დაკავშირებით, ინვესტიციებს მწვანე საჯარო სივრცეებში და სუფთა ენერჯის პოპულარიზაციას. ამ პოლიტიკამ ხელი შეუწყო კიგალის, როგორც აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე სუფთა ქალაქის რეპუტაციას, საერთაშორისო ინვესტიციებისა და ტურიზმის მოზიდვას. კიგალი აჩვენებს, თუ როგორ შეუძლიათ განვითარებადი ქვეყნების ქალაქებს შეზღუდული რესურსებით ეფექტურად განახორციელონ მწვანე პოლიტიკა.

საქართველოს მუნიციპალურ ფინანსებში მწვანე ტრანსფორმაციის განხორციელების გამოწვევები

მიუხედავად მათი დიდი პოტენციური სარგებლისა, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა ხშირად ბევრ წინააღმდეგობას ხვდება, ეს

დაკავშირებულია შედარებით დიდ საწყის დანახარჯებთან, ტექნიკურ სირთულეებთან, კომპეტენციების ნაკლებობასთან (ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ადგილობრივ დონეზე) და ა.შ.

საქართველოს ბევრ მუნიციპალიტეტს შეიძლება დასჭირდეს ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი განახლება მწვანე ინიციატივების მხარდასაჭერად, როგორცაა განახლებადი ენერჯის სისტემები და ნარჩენების მდგრადი მართვის საშუალებები.

მწვანე პროექტებისთვის საჭირო საწყისი ინვესტიცია შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი გამოწვევა მუნიციპალიტეტებისთვის მათი საბიუჯეტო და ფისკალური შეზღუდვებიდან გამომდინარე

საქართველოს ამ ეტაპზე არ აქვს ჩამოყალიბებული მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკის ჩარჩო ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, რომელიც მხარს უჭერს და წარმართავს მწვანე ტრანსფორმაციას მუნიციპალურ ფინანსებში.

მწვანე ინიციატივების რეგულირება არ არის მარტივი საკითხი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობას.

მწვანე პროექტების ეფექტიანი განხორციელება ხშირად მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას. თუმცა, ადგილობრივ თემებში შეიძლება იყოს არასაკმარისი ინფორმირებულობა ან აღქმა ამგვარი ინიციატივების სარგებელის შესახებ.

საჭიროა მუნიციპალური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ტრენინგი, რათა ეფექტურად დაგეგმონ, განახორციელონ და მართონ მწვანე ინიციატივები.

საუკეთესო პრაქტიკისა და მიღებული გაკვეთილების გაზიარება მუნიციპალიტეტებს შორის და საერთაშორისო კოლეგებთან შეიძლება შეზღუდული იყოს, რაც გავლენას მოახდენს წარმატებული მწვანე პროექტების განხორციელებისა და მასშტაბის შესაძლებლობებზე.

გლობალური მწვანე პრაქტიკის ადაპტირება საქართველოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივ კულტურულ კონტექსტში არსებითია, მაგრამ გამოწვევასაც წარმოადგენს.

პოლიტიკის რეკომენდაციები საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის

- საქართველოს მუნიციპალიტეტებმა უნდა ჩამოაყალიბონ მწვანე პოლიტიკის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც გულისხმობს მდგრადობას მუნიციპალური დაგეგმვის, ოპერაციებისა და ფინანსების ყველა ასპექტში.
- პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს გრძელვადიან გარემოსდაცვით მიზნებს, მათ შორის ნახშირბად ნეიტრალურობას, ნარჩენების შემცირებას და მდგრად ურბანულ განვითარებას.
- წახალისდეს მწვანე ობლიგაციებისა და გარემოსდაცვითი ფონდების გამოყენება მდგრადი პროექტების დასაფინანსებლად.
- ხელი შეეწყოს პარტნიორობას კერძო სექტორის სუბიექტებთან მწვანე ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.
- გამოიკვლიეთ საერთაშორისო გრანტებისა და სესხების წვდომის შესაძლებლობები, რომლებიც სპეციალურად მიმართულია გარემოსდაცვითი პროექტებისთვის.
- პრიორიტეტული გახდეს ინვესტიციები მწვანე ტექნოლოგიებში, როგორცაა განახლებადი ენერჯის წყაროები, ენერგოეფექტური შენობები და ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემები.
- არსებული ინფრასტრუქტურის განახლება მწვანე ინიციატივების მხარდასაჭერად, როგორცაა მაგალითად საზოგადოებრივი ტრანსპორტი და შენობები ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით
- საგანმანათლებლო კამპანიების წამოწყება მწვანე ტრანსფორმაციის უპირატესობების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად და საზოგადოების მონაწილეობის წახალისებისთვის.

- მოქალაქეების, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა მწვანე ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- უნდა შემუშავდეს სასწავლო პროგრამები მუნიციპალური პერსონალის აღჭურვისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით მწვანე ინიციატივების განსახორციელებლად და მართვისთვის. ამისთვის უნდა განხილულ იქნას პარტნიორობა უნივერსიტეტებთან და კვლევით დაწესებულებებთან მწვანე ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის უწყვეტი სწავლისა და ინოვაციისთვის.
- ცოდნის გაცვლაში ჩართვა მსოფლიოს სხვა ქალაქებთან და მუნიციპალიტეტებთან, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს მწვანე ინიციატივები.
- სხვა რეგიონების საუკეთესო პრაქტიკის ადაპტირება, რათა მოერგოს საქართველოს მუნიციპალიტეტების უნიკალურ კულტურულ, გეოგრაფიულ და ეკონომიკურ კონტექსტს.
- მმართველობის ისეთი მოდელების დანერგვა, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ მდგრადობას, იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარემოსდაცვითი საკითხები განუყოფელი იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- მწვანე ინიციატივების რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბება მათი გავლენისა და ეფექტურობის შესაფასებლად.

დასკვნა: საქართველოში მუნიციპალური ფინანსების მწვანე ტრანსფორმაციის შესწავლისას ცხადი ხდება, რომ გზა მდგრადობისკენ არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი ან მორალური იმპერატივი, არამედ სტრატეგიული და ეკონომიკური აუცილებლობაა. გლობალური შემთხვევის კვლევებიდან მიღებული შეხედულებები, გამოვლენილი გამოწვევები და პოლიტიკის რეკომენდაციები გვაჩვენებს რომ მუნიციპალური ფინანსების მწვანე ტრანსფორმაცია არის მნიშვნელოვანი გზა საქართველოს ქალაქებისა და დაბებისთვის,

რომლებიც ისწრაფვიან მდგრადი, განვითარებული და აყვავებული მომავლისკენ.

მწვანე ტრანსფორმაციის პოტენციური სარგებელი მრავალმხრივია, ის შეიძლება გულისხმობდეს შემოსავლების ახალი ნაკადების გაჩენას, ხარჯების დაზოგვას, სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის ზრდას, ინვესტიციების მოზიდვას და ა.შ. თუმცა, მწვანე ტრანსფორმაცია მხოლოდ სარგებელთან არ არის დაკავშირებული და მას თან ახლავს არაერთი გამოწვევა. საქართველოს მუნიციპალიტეტებმა უნდა გადალახონ ტექნოლოგიური, ფინანსური და მარეგულირებელი დაბრკოლებები, და ამავდროულად, ხელი შეუწყონ საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობას მწვანე ინიციატივების წარმატების უზრუნველსაყოფად.

მოყვანილი პოლიტიკის რეკომენდაციები გვთავაზობს საგზაო რუკას საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის. ეს გულისხმობს ყოვლისმომცველი მწვანე პოლიტიკის შემუშავებას, ინოვაციური დაფინანსების გამოყენებას, ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებას და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია, რომ ისინი ხაზს უსვამენ მმართველობის მოდელის შეცვლის აუცილებლობას, რათა მდგრადობა პრიორიტეტული იყოს მუნიციპალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

რამდენადაც საქართველო აგრძელებს საკუთარი იდენტობის ფორმირებას გლობალურ ასპარეზზე, მუნიციპალური ფინანსების მწვანე ტრანსფორმაციისადმი მისი მხარდაჭერა არა მხოლოდ ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლას, არამედ გააძლიერებს მის ეკონომიკურ მდგრადობას და მისი მოქალაქეების ცხოვრების ხარისხს. ეს გზა მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას, ინოვაციურ აზროვნებას და მდგრადი განვითარების პრინციპებისადმი მტკიცე ერთგულებას.

შეჯამების სახით, მწვანე ტრანსფორმაცია მუნიციპალურ ფინანსებში საქართველოს მუნიციპალიტეტებს აძლევს შესაძლებლობას იყვნენ

სამაგალითონი რეგიონში. ამ ცვლილებების გათვალისწინებით, მათ შეუძლიათ უზრუნველყონ არა მხოლოდ მდგრადი გარემო, არამედ აყვავებული, სამართლიანი და მდგრადი ეკონომიკური მომავალი ყველა მათი მცხოვრებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Wang, J., & Zhi, Q. (2016). Green finance development and environmental sustainability: A panel data analysis. *Frontiers in Environmental Science*.
- Fang, G., Yang, K., & Taghizadeh-Hesary, F. (2023). Exploring the effectiveness of fiscal decentralization in environmental expenditure based on the CO2 ecological footprint in urban China. *Humanities and Social Sciences Communications*.
- Simionescu, M., & Gavurová, B. (2023). Pollution, income inequality, and green finance in the new EU member states. *Humanities and Social Sciences Communications*.
- Mohd, S., & Kaushal, V. K. (2018). Green finance: a step towards sustainable development. *MUDRA: Journal of Finance and Accounting*, 5(1), 59-74.
- Qi, Y., Chen, G., Dong, B., & Wang, F. (2014). Green finance, renewable energy development, and climate change: evidence from regions of China. *Humanities and Social Sciences Communications*.
- Muganyi, T., Yan, L., & Sun, H. P. (2021). Green finance, fintech and environmental protection: Evidence from China. *Environmental Science and Ecotechnology*, 7, 100107.
- Park, S. K. (2018). Investors as regulators: Green bonds and the governance challenges of the sustainable finance revolution. *Stanford Journal of International Law*, 54, 1.
- Tran, Q. H. (2021). The impact of green finance, economic growth, and energy usage on CO2 emission in Vietnam – a multivariate time series analysis. *China Finance Review International*.

- Trompeter, L. (2017). Green is good: How green bonds cultivated into Wall Street's environmental paradox. *Sustainable Development Law and Policy Brief*, 17(2).
- Yoshino, N., & Mumtaz, M. Z. (2021). Green Bonds and Global Optimal Portfolio Allocation. *In Advances in Pacific Basin Business, Economics and Finance*. Emerald Publishing Limited.

ინოვაციური ტექნოლოგიები თანამედროვე საკრედიტო სექტორში

Innovative technologies in the modern credit sector

მარიამ ჯოხაძე - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Mariam Jokhadze - Master of Business Administration

Ilia State University

jokhadzemariami@gmail.com

ელენე ჯოხაძე - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Elene Jokhadze - Master of Business Administration

Ilia State University

elenejokhadze@gmail.com

ნუნუ ნიკოლიშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nunu Nikolishvili - Doctoral student in Business Administration

Tbilisi State University

nunu.nikolishvili709@eab.tsu.edu.ge

ანოტაცია. ჩვენს კვლევაში დადასტურებულია, რომ თანამედროვე პირობებში საბანკო ინოვაცია გაიგივებულია პროცესთან, რომელიც მიზნად ისახავს საკრედიტო საქმიანობის ოპტიმიზაციას, პროდუქტებისა და სერვისების გაუმჯობესებას, რაც მოიცავს კლიენტების არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებას და/ან ახლის შექმნას, მოწოდებული სერვისებისა და პროდუქტების სპექტრის გაფართოებას და მოგების მაქსიმიზაციას. საბანკო ინოვაციების სხვადასხვა კონცეფციის ანალიზმა შესაძლებელი გახადა მათთვის საბანკო სერვისების მიკუთვნება, რომელიც მოიცავს ახალ და ადრე შემოთავაზებულს, კლიენტების მიერ მათი შეთავაზების გზების ცვლილების შემთხვევაში, რაც იწვევს მათი ხარისხის გაუმჯობესებას. ინოვაციური აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკის ჯილდოდ ბანკი იღებს, რა თქმა უნდა, მოგებას. ჩვენს ხელთ არსებული მეორადი ინფორმაციის საფუძველზე, კვლევის

აპრობირებული მეთოდების გამოყენებით ვეცადეთ არგუმენტირებულად მოგვეცა საქართველოს საბანკო სფეროს წინაშე არსებული გამოწვევების კვლევის ავტორისეული ხედვები, რათა გვეჩვენებინა, რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე საბანკო სისტემაში თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, რომლის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებით, არამედ მასზე დიდადაა დამოკიდებული მზარდი კონკურენციის პირობებში კლიენტურის შენარჩუნება და პერსპექტივაში ზრდა.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, საბანკო დაწესებულება, საკრედიტო სფერო, ციფრული ტექნოლოგიები, საბანკო სერვისი.

Annotation. Our research has confirmed that in modern conditions, banking innovation is equated with a process aimed at optimizing credit activities, improving products and services, which includes meeting existing customer needs and/or creating new ones, expanding the range of services and products provided, and maximizing profits. The analysis of different concepts of banking innovations made it possible to attribute to them banking services, which include new and previously offered ones, in case of changes in the way they are offered by clients, which leads to an improvement in their quality. As a reward for the risk associated with the implementation of innovative activities, the bank receives, of course, profit. Based on the secondary information at our disposal, using proven research methods, we tried to provide the author's views of the research on the challenges facing the banking sector of Georgia in an argumentative manner, in order to show how important it is to introduce modern advanced technologies in the modern banking system, the importance of which is not limited to the improvement of financial indicators, but is highly dependent on it. Customer retention and prospective growth in the face of growing competition.

Keywords: Globalization, banking institution, credit sphere, digital technologies, banking service.

მსფოლიოში გლობალური ცვლილებების თანამედროვე ეტაპზე საბანკო დაწესებულებების მიერ საქმიანობაში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროდუქტების დანერგვა გადაუდებელი აუცილებლობაა, რადგან ეს მათ კონკურენციაში გამორჩევის საშუალებას მისცემს. უცხოური ბანკების გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტები ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებისას, რათა ეფექტურად იმუშაონ და საინოვაციო პროცესის მართვა, ბანკის საბანკო გარემოს მონიტორინგი მის საქმიანობაში ცვლილების აუცილებლობის დასადგენად; შეიმუშავებს სტრატეგიებს და აყალიბებს პროგრამებს ბანკის საქმიანობაში ცვლილებებისათვის, როგორც მიმდინარე კოლექტიური მოქმედებების სისტემა, რომელიც მიმართულია საერთო მიზნის მისაღწევად: პერსონალის ინოვაციური იდეებისა და ვალდებულებების მხარდაჭერა. ბანკებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობა ეფუძნება პარტნიორობის პრინციპებს. ეს, კერძოდ, ნიშნავს, რომ ბანკები მუდმივად ზრუნავენ არა მხოლოდ მათი კლიენტების კაპიტალის შენარჩუნებით, არამედ გაზრდით, სთავაზობენ მათ ახალ სერვისებს, რომლებიც ხელს უწყობს ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებას, ხარჯების შემცირებას, ბიზნეს აქტივობის განვითარებას და მის გაზრდას (Mosiashvili & Bibiluri, 2023). ახალი ტიპის საბანკო სერვისების გაჩენის კიდევ ერთი მიზეზი არის კონკურენცია საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებს შორის მონეტარული და ფინანსური ბაზრის დერეგულირების პირობებში. ბანკის მენეჯერების მიზანია ბანკის საქმიანობის დივერსიფიკაცია და ბანკის საფინანსო საწარმო, ანუ დივიდენდების ბანკად გადაქცევა.

ციფრულ ეკონომიკაში დღეს ყველაზე გავრცელებული საბანკო ინოვაცია არის დისტანციური სერვისების დანერგვა ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს საშუალებას გაძლევთ განახორციელოთ ონლაინ საინფორმაციო კონსულტაცია, განახორციელოთ საინვესტიციო და სავალუტო ოპერაციები. შედეგად მცირდება ბანკის ზედნადები და მომსახურების ღირებულება.

ცხრილი 1. წმინდა მოგების სტატისტიკა საქართველოს კომერციულ ბანკებში (2019-2022 წელი)⁵

წელი ბანკი	2019	2020	2021	2022 (I-კვ.)
საქართველოს ბანკი	390 114 132	57 108 800	658 175 300	157 900 000
თიბისი ბანკი	392 114 132	123 180 649	735 565 005	206 300 00
ლიბერთი ბანკი	26 832 117		36 311 329	16 200 000
ბაზისბანკი	24 830 002	5 972 349	33 319 645	21 200 000
პროკრედიტ ბანკი	23 131 243	3 534 386	48 046 498	10 000 000

გლობალურად, 2019 წლის მდგომარეობით, ონლაინ მომსახურე მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენდა მომხმარებელთა მთლიანი ბაზის 28%-ს. მოსალოდნელია, რომ 2021 წლისთვის უნაღდო ანგარიშსწორების მოცულობა გაორმაგდება და 420 მილიარდ ტრანზაქციას შეადგენს. ნათელია, რომ ციფრულიზაციის დინამიკა ბანკების მომგებიანობაზეც დადებითად მოქმედებს საბანკო ინოვაციების განვითარებამ და მთლიანობაში ციფრულმა ეკონომიკამ ხელი შეუწყო ვირტუალური ბანკების გაჩენას, რომლებსაც არ აქვთ ფილიალები და ფიზიკური ოფისები (Kovzanadze & Kontridze, 2022). ციფრული ტექნოლოგიების აქტიურმა გამოყენებამ ხელი შეუწყო კლასიკური პროდუქტების ცალკეულ ოპერაციებში გაშლას, შემდგომში გაერთიანებით ახალი სტრუქტურებისა და ფორმების სახით.

კომერციულ ბანკს, ანამედროვე პირობებში არ შეიძლება ეწოდოს

⁵ <https://nbg.gov.ge> [გადამოწმებულია 10.12.2023].

კონკურენტუნარიანი, თუ ის არ დანერგავს ციფრული გაყიდვების არხებს თავის ბიზნეს სტრატეგიაში, არ დანერგავს ახალ ტექნოლოგიებს და არ გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს ინოვაციებით. გავანალიზოთ საბანკო ინოვაციების ყველაზე წარმატებული მაგალითები ციფრულ ეკონომიკაში (Mosiashvili, file:///C:/Users/User/Downloads/69.pdf, 2023):

ბანკები აქტიურად განიხილავენ სუპერ-აპლიკაციების მშენებლობას: ყოველწლიურ ანგარიშებში მათი ხსენებების რაოდენობა 2020 წლიდან 2022 წლამდე გაიზარდა. 640%-ით. სუპერ-აპი აერთიანებს კლიენტისთვის ბევრ ღირებულ ფუნქციას ერთ ინტერფეისში. საბანკო აპლიკაციებს აქვს რთული სტრუქტურა, მაგრამ კლიენტის ყოველდღიური ყურადღება იყენებს რამდენიმე ძირითად ფუნქციას: ბალანსის შემოწმება, გადასახადების გადახდა, ტრანზაქციების ნახვა. ამ მიზეზით, მობილური ბანკინგს მხოლოდ API⁶ ამორებს ნებისმიერ სხვა პლატფორმაში ინტეგრირებას.

ამავდროულად, რეალური სუპერ-აპლიკაციების სია ჯერ კიდევ მოკლეა: მასში შედის, მაგალითად, AliPay, Amazon, PayTM (ინდოეთი), Kakao (სამხრეთ კორეა) და სხვა. წელს ბანკებს მოუწევთ რთული არჩევანის გაკეთება: იბრძოლონ თუ არა საკუთარი სუპერაპლიკაციის პოპულარიზაციისთვის, დაამყარონ პარტნიორობა სხვებთან, თუ დარჩნენ ამ რბოლაში.

ESG⁷ დღის წესრიგის სწრაფი განვითარება აიძულებს ბანკებს სასწრაფოდ შექმნან მონაცემთა მოპოვებისა და საკუთარი პროგრესის გაზომვის მექანიზმები მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად. ამერიკის ბანკის შეფასებით, დაახლოებით 150 ტრილიონი დოლარის მთლიანი ინვესტიციაა საჭირო ნახშირბადის

⁶ <https://www.ibm.com/topics/api> [გადამოწმებულია 14.12.2023].

⁷ **ESG** - (Environmental, Social, Government) - გარემოსდაცვითი, სოციალური და სამთავრობო ფაქტორების გავლენის მნიშვნელობას ფინანსური ინვესტიციის განხორციელებისას

ნეიტრალიტეტის მისაღწევად. საფინანსო ინსტიტუტებს მოუწევთ პლანეტის მფარველების ახალი როლის შესრულება, რაც მათთვის მნიშვნელოვან ფასად იქნება. თუმცა, ამ ინვესტიციებს შეუძლია გრძელვადიან პერსპექტივაში ანაზღაურება თანამშრომლების მოტივაციის, მომხმარებლის ნდობის, ინვესტორების ინტერესისა და მარეგულირებელი ლოიალობის სახით (Mosiashvili & Bibiluri, 2023).

ინოვაცია ისევ დღის წესრიგშია - ტრადიციული ბანკები კარგავენ წონას ეკონომიკაში: 2009 წლიდან 2021 წლამდე მათი წილი აშშ-ს მშპ-ში 4,6%-დან 3,85%-მდე დაეცა. ამავდროულად, ფინტექ კომპანიები და ალტერნატიული ფინანსური მოთამაშეები აგრძელებენ კაპიტალიზაციის გაზრდას. დიჯიტალიზაცია აუცილებლობად იქცა, მაგრამ მხოლოდ პროცესების დიჯიტალიზაცია ვერ უზრუნველყოფს საბანკო სერვისების დიფერენციაციას და ხელს შეუწყობს შემოსავლების ზრდას. ამის გამო, ბანკებს მოუწევთ შემოქმედებითად გადახედონ, თუ რომელი კონკრეტული ოპერაციები და შეთავაზებები შექმნიან ინოვაციას ყველაზე მეტ ღირებულებას მომხმარებლებისთვის (Mosiashvili, https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekonomika_Da_Finanseb_i_2023_N1.pdf, 2023). ბანკები არა მხოლოდ ათვისებენ ტრადიციულ შეხედულებებს სერვისებისა და კლიენტების სეგმენტების შესახებ, არამედ ხსნიან ახალ თანამშრომლობით ბიზნეს მოდელებს. ისინი სულ უფრო მეტად ხედავენ საკუთარ ტექნოლოგიას, როგორც ახალ პროდუქტს და შემოსავლის პოტენციურ ახალ წყაროს.

ბანკის საკომისიოები - ბანკების პოლიტიკა მომსახურების საკომისიოების გაანგარიშებასთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეიცვალა. უფასო სერვისის ყოვლისმომცველ შეთავაზებასთან კონკურენციის პირობებში, ბანკები იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ შედარებით გამჭვირვალე განაკვეთებიდან დამალვის საკომისიოებზე - დაგვიანებით გადახდის საკომისიოების, ოვერდრაფტის და ა.შ. 2022 წლისთვის მზარდი კონკურენცია და ციფრული გამჭვირვალობა უბიძგებს ბანკებს და ფინტექ კომპანიებს

გადახედონ თავიანთი მიდგომებს. ახალი კლიენტების შეთავაზებები სულ უფრო მეტად იქნება ფოკუსირებული ხარჯების ოპტიმიზაციაზე და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე მომხმარებლების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

2018 წლიდან 2020 წლამდე კლიენტების ნდობა ბანკების მიმართ შემცირდა: რესპონდენტთა მხოლოდ 29% (ორი წლის წინანდელი 43%-ის წინააღმდეგ) სრულად ენდობოდა ბანკს გრძელვადიანი ფინანსური კეთილდღეობის საკითხებში. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ბანკებმა კლიენტთან პირისპირ საუბარი შეწყვიტეს. 2022 წელს ბანკები ეძებენ გზებს, რომ დაუბრუნდნენ ამ საკითხს. მათი ამოცანაა კლიენტთან კომუნიკაციაში თანაგრძნობის აღდგენა და ფინანსური და ემოციური გარემოებების უფრო ღრმად გააზრება ლოიალობის აღდგენის მიზნით.

ციფრული ვალუტები⁸ - 2021 წლის ბოლოსთვის მსოფლიოს 78 ქვეყანა აწარმოებს კვლევას CBDC-ის⁹ სფეროში: მათგან ექვსმა უკვე გამოუშვა საკუთარი ციფრული ვალუტა და მინიმუმ 17 არის მათი პილოტირების პროცესში. მაგალითად, შვეიცარიასა და სინგაპურში CBSS უკვე პილოტირდება ტრანსსასაზღვრო გადახდებისთვის, მაშინ როცა საცალო CBSS პროექტმა ჩინეთში უკვე მიაღწია 140 მილიონზე მეტ მომხმარებელს ტრანზაქციის მოცულობამ 9,5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი. ციფრული ვალუტების განვითარების შემდგომი აქცენტი არის კონკრეტული განაცხადის სცენარების იდენტიფიცირება, სადაც მათ შეუძლიათ მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიცემა.

ბანკები მივიდნენ იმ ხაზთან, სადაც ადამიანის მონაწილეობა ოპერაციებში აუცილებელი არ არის. მაგალითად, მეტყველებისა და ტექსტის ანალიზის ტექნოლოგიები უკვე გვეხმარება სამუშაოს მრავალჯერ უფრო სწრაფად და ზუსტად შესრულებაში. სესხის

⁸ <https://nbg.gov.ge/fm/%E1%83%9B%E1%83%98.pdf> [გადამოწმებულია 21.12.2023].

⁹ CBDC: ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა.

გაცემისას საოპერაციო ამოცანების 60-დან 70%-მდე უკვე შეიძლება შემცირდეს შემოსავლის ანგარიშების და სხვა დოკუმენტების ერთიან ფორმაში გადაყვანით.

გადახდები ხდება უნივერსალური - Accenture-ის გლობალური ანალიტიკოსების აზრით, შემდეგი რევოლუცია გადახდებში იქნება გამოწვეული ღია ქსელებით. მომხმარებლები უკვე თვლიან, რომ მათ შეუძლიათ გადაიხადონ და მიიღონ ფული ყველგან, ნებისმიერ დროს. ინდუსტრია უკვე არის ზღვარზე, რომ მისცეს მათ შესაძლებლობა გადაიხადონ ნებისმიერი ფორმით. მარეგულირებლები უბიძგებენ ბაზარს მოხსნას შეზღუდვები მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ გადახდის მეთოდებზე, როგორცაა ჩინეთი და ინდოეთი, და გამოიყენოს ერთიანი სტანდარტები. ღია გადახდის ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის ან თუნდაც რეგიონულ დონეზე, როგორც ევროპაში, იქნება ცვლილების კატალიზატორი და უზრუნველყოფს ინვესტიციებსა და ინოვაციებს შორის უკეთეს კავშირს.

ბანკები კვლავ ეძებენ ზრდის შესაძლებლობებს - ბოლო 11 წლის განმავლობაში, ბანკების შერწყმისა და შესყიდვების წლიური რაოდენობა შემცირდა 43%-ით, 2010-დან 800-მდე. 2022 წელს, როდესაც ბევრი კლიენტი უკვე დაიღალა პანდემიის შეზღუდვებით, ბანკები კვლავ იწყებენ პერსპექტივის ძიებას.

2020 წელი საბანკო ინდუსტრიის მასიური ციფრულიზაციის წლად იქცა. ბანკები, რომლებმაც მოახერხეს საკუთარი ციფრული პლატფორმების შექმნა ეპიდემიის დასაწყისში, მყისიერად აღმოჩნდნენ ლიდერებს შორის. მათ შემდეგ მომხმარებლებმა ციფრულზე მიისწრაფოდნენ და ახლა უკვე ნორმად იქცა ციფრული და არა „ტრადიციული“ სერვისები. ბანკებთან ურთიერთობა ოფისში ვიზიტს აღარ გულისხმობს. ფინანსური სერვისებით სარგებლობისთვის საკმარისია აიღოთ სმარტფონი. ახლა კი ბანკები, რომლებმაც დადეს ფსონი დიჯიტალიზაციაზე, იღებენ თავიანთი შორსმჭვრეტელობის სარგებელს და გეგმავენ ზოგიერთი ოფისის დახურვას 2021 წელს. ასეთ

ფინანსურ ინსტიტუტებს აქვთ კლიენტების ფართო ბაზა, რომლებიც დისტანციურად სარგებლობენ მათი მომსახურებით.

საბანკო ბიზნესს საფრთხე ემუქრება IT გიგანტებისაგან, რომლებიც ემზადებიან უშუალოდ ბანკებთან კონკურენციის დასაწყებად (Mosiashvili, Chelidze , & Abutidze, Banking, 2020). Google Plex banking-ის ამოქმედება მომავალ წელს იგეგმება და Apple აშკარა ინტერესს გამოხატავს საბანკო სექტორში ყოფნის გაფართოებით. ეს კომპანიები აღარ არიან მზად, შეეგუონ ბანკის პარტნიორების პოზიციას, რომელთა როლი შეზღუდულია მარეგულირებლების მიერ. ისინი აერთიანებენ საბანკო ოპერაციებს საკუთარ სერვისებში, უბიძგებენ საბანკო აპლიკაციებს კლიენტის ინსტრუმენტთა ნაკრებიდან.

ბანკებისთვის სხვა პოტენციური და ძალიან საშიში კონკურენტები მოიცავს ტექნოლოგიების მოთამაშეებს, როგორცაა Stripe Treasury, Facebook, Shopify და Amazon – პლატფორმები, რომლებიც შესანიშნავად ახდენენ მონაცემთა ინტეგრაციასა და მართვას. სავარაუდოა, რომ საბანკო აპლიკაციების მნიშვნელობა ახლა გახდება მათი განვითარების ყველაზე მაღალი წერტილი, რის შემდეგაც მომხმარებლების (არა მხოლოდ საცალო, არამედ კორპორატიული) ინტერესი მათ მიმართ სტაბილურად დაიწყებს კლებას.

ბანკებს მოუწევთ კონკურენცია გაუწიონ არა მხოლოდ ფინტექ კომპანიებს და IT გიგანტებს. კიდევ ერთი საფრთხე იქნება მარჟების შემცირება, საკრედიტო რისკები და დაბალი აქტივობა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში (Mosiashvili, Chelidze , & Abutidze, Banking, 2020). ბოლო წლების ყველაზე წარმატებული საბანკო მომსახურებაა კერძო ინვესტიციების მართვის სისტემები, ფულის გადარიცხვის სერვისები და ქეშბექი ბარათები, რომლებიც „თამაშობენ“ დაზოგვის ტრადიციულ ადამიანურ სურვილზე. მაგრამ ისინი ყველა განსხვავდება სხვა საბანკო პროდუქტებისგან გამჭვირვალობის მაღალი დონით. პირობები გასაგებია თითოეული მომხმარებლისთვის: საბანკო საკომისიოს ოდენობა, ტრანზაქციის ღირებულება თუ ფასდაკლების პროცენტი.

ისინი წარმოადგენენ ბანკებთან ურთიერთქმედების ახალ მნიშვნელობას და ახლა მომხმარებლები სხვა პროდუქტებისგან იგივე გამჭვირვალობას მოელოან.

ბიბლიოგრაფია

1. Kovzanadze, I., & Kontridze, G. (2022). *Tanamedrove sabanko saqme: Teoria da praqtika*. Tbilisi: Tsu.
2. Mosiashvili, V. (2023, 10 20). <file:///C:/Users/User/Downloads/69.pdf>. Retrieved from <file:///C:/Users/User/Downloads/69.pdf>: <file:///C:/Users/User/Downloads/69.pdf>
3. Mosiashvili, V. (2023, 3 21). https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekonomika_Da_Finanseb_i_2023_N1.pdf. Retrieved from https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekonomika_Da_Finanseb_i_2023_N1.pdf: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekonomika_Da_Finanseb_i_2023_N1.pdf
4. Mosiashvili, V., & Bibiluri, A. (2023, 4 9). https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139. Retrieved from https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139: https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139
5. Mosiashvili, V., & Samchkuashvili, N. (2021, 8 21). <https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/358111111/1/358111111.pdf#page=179>
6. Mosiashvili, V., Chelidze, M., & Abutidze, G. (2020). *Banking*. Tbilisi: Dani.
7. <https://forbes.ge/saqarthvelo-inovatsiebis-qveqhana/> [გადამოწმებულია 01.12.2023].
8. <https://nbg.gov.ge/> [გადამოწმებულია 08.12.2023]
9. <https://bankofgeorgia.ge/ka/business/digital-bank/open-banking> [გადამოწმებულია 10.10.2022]
10. <https://www.ibm.com/topics/api> [გადამოწმებულია 14.12.2023].

**ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში: არსებული მდგომარეობა
და ტენდენციები**
Shadow economy in Georgia: current situation and trends

კახაბერ ციმინტია - ეკონომიკის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

Kakhaber Tsimintia - Doctor of Economics,
Associate Professor of Sokhumi State University

kakhatsimintia@sou.edu.ge

აბსტრაქტი. ჩრდილოვანი ეკონომიკა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს როგორც მსოფლიოს, ისევე ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე. იგი ამახინჯებს ეკონომიკური ზრდის, ეროვნული სიმდიდრის ფორმირების, შემოსავლების განაწილების მაჩვენებლებს. ამასთან, ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მიუხედავად მისი განვითარების დონისა და ხარისხისა. მიუხედავად იმისა რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების განმსაზღვრელ ძირითად დეტერმინანტებში საქართველოს უპირატესად პოზიტიური პარამეტრები გააჩნია, კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებით საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასტაბი მაღალია. რაც სავარაუდოდ ჩრდილოვანი ეკონომიკის განმსაზღვრელი ერთ-ერთი დეტერმინანტის - არაფორმალური დასაქმების მაღალი წილით უნდა იყოს განპირობებული.

ნაშრომში შედარებულია საქართველოსა და რიგი პოსტსაბჭოთა ქვეყნების სხვადასხვა მეთოდებით გათვლილი ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები. დასაქმების მაჩვენებელზე დამყარებული მეთოდის საშუალებით, შედარებისა და ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი 30 % ფარგლებშია.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოვანი ეკონომიკა, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი, ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში

Abstract: The shadow economy has a significant impact on the development of both the world and individual countries. It distorts indicators of economic growth, formation of national wealth, income distribution. In addition, the shadow sector of the economy is characteristic of any country, regardless of its level and quality of development. Despite the fact that Georgia has predominantly positive parameters in the main determinants of the scale of the shadow economy, according to the researches of competent international organizations, the scale of the shadow economy in Georgia is high. This should probably be due to one of the determinants of the shadow economy - the high share of informal employment.

The paper compares the dimensions of the shadow economy calculated by different methods in Georgia and a number of post-Soviet countries. By means of the method based on the employment rate, on the basis of comparison and analysis, the opinion is expressed that the scale of the shadow economy in Georgia is within 30%.

Keywords: Shadow economy, scale of shadow economy, shadow Economy in the Georgia

შესავალი. საქართველო, როგორც პატარა, ღია ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტური ქვეყანა ისწრაფვის გახდეს ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო და განახორციელოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ტრანსფორმაციამდე, საქართველო ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებით მეტ-ნაკლებად განვითარებულ ტიპურ საბჭოთა ქვეყანას (რესპუბლიკას) წარმოადგენდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა და სისტემური კრიზისების ფონზე მიმდინარეობდა. 1990-1993 წლებში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი წელიწადში საშუალოდ 28 %-ით მცირდებოდა, ქვეყნის ამ მაჩვენებლის კუმულატიურმა დაცემამ კრიზისის ეტაპზე 1990 წელთან შედარებით

78%-ს მიაღწია. 1996 წლიდან გამოკვეთილი ეკონომიკური ზრდის ტენდენცია არასაკმარისი აღმოჩნდა არსებული გამოწვევებისთვის საპასუხოდ. ქვეყანა ახალ ათასწლეულს დაბალი ცხოვრების დონითა და ხარისხით, განუვითარებელი ეკონომიკური სტრუქტურებით შეხვდა.

კვლევის შედეგები. XXI საუკუნის განვლილ პერიოდში ქვეყანაში განხორციელდა ძირეული, რადიკალური და არსებითი ხასიათის რეფორმები (საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დამყარება, საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისების დაძლევა, კორუფციასთან ბრძოლა, სამეწარმეო გარემოსა და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება, საბაჟო პროცედურების გამარტივება და ა.შ.), რომელმაც ქვეყანას საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყანათა ჯგუფში დაუმკვიდრა ადგილი. ამასთან, მიუხედავად იმისა რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების განმსაზღვრელ ძირითად დეტერმინანტებში საქართველოს უპირატესად პოზიტიური პარამეტრები გააჩნია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წარმოდგენილ ბოლო კვლევაში [8] საქართველო 2015 წლის მონაცემებით (53,07 % მშპ-სთან მიმართებაში) ყველაზე მაღალი ჩრდილოვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სამეულშია ზიმაბვესა(67%) და ჰაიტის (56,38 %) შემდეგ.

ცხრილი 1.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების დინამიკა საქართველოსა და საშუალოდ მსოფლიოში. % მშპ-თან მიმართებით

[წყარო: 8. 63, 71]

		1991	1995	2000	2005	2010	2015	1991-2015 წწ საშუალო
1	საქართველო	61,47	71,95	67,30	66,91	64,73	53,07	64,87
2	მსოფლიო (ყველა ქვეყნის საშუალო)	34,51	34,50	33,26	31,24	29,42	27,78	31,77

აღნიშნული კვლევების მიხედვით 1991-2015 წლების გასაშუალოებული მაჩვენებლით საქართველოს მსოფლიოში ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველაზე დიდი მასშტაბები გააჩნია, კერძოდ,

ქვეყნის მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში 64,87%-ს შეადგენს და ორჯერ აჭარბებს ამავე პერიოდის მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს (31,77%).

წარმოდგენილი შედეგები არსებითად განსხვავდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებისგან, რომელმაც 2015 წლისთვის საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკის დაახლოებით 12 %-იანი დონე დააფიქსირა. ცხადია, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გათვლა რთული პროცესია, ზუსტი და ბოლომდე სანდო შედეგის მიღება ძნელია. მეთოდოლოგიური განსხვავებანი, თვით ერთი და იმავე მეთოდოლოგიის მიხედვითაც დეტერმინანტებად აღებული მაჩვენებლების მრავალფეროვნება, მათი ინტერპრეტირების განსხვავებულობა ართულებს კონკრეტული მაჩვენებლის სიზუსტის დასაბუთებას. ზოგადად, ისიც კი შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვადასხვა მეთოდოლოგიებით გათვლილი ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ერთმანეთთან შედარება არ გვაძლევს შედეგს. აღნიშნულ კვლევაში გამოყენებული მრავალი ინდიკატორი, მრავალი მიზეზი (Multiple Indicators Multiple Causes (MIMIC)) მეთოდით ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები წარმოდგენილია როგორც საშუალოდ მსოფლიოსთვის, ისევე მსოფლიოს 158 ქვეყნისთვის. კვლევაში მიზეზებად წარმოდგენილია ვაჭრობის ღიაობა, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, უმუშევრობის დონე, მთავრობის ზომა, ფისკალური თავისუფლება, კანონის უზენაესობა, კორუფციის კონტროლი, მთავრობის სტაბილურობა, ხოლო ინდიკატორებად - ვალუტა, სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი, მშპ-ს ზრდა ერთ სულ მოსახლეზე [8]. გათვლისთვის აღებული ინდიკატორების უმრავლესობის მიხედვით, საქართველოს ბევრად უკეთესი მაჩვენებლები გააჩნია, ვიდრე რეიტინგში მის წინ მყოფ რიგ ქვეყნებს, ეს სხვაობა განსაკუთრებით ცხადია პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით. მიზეზებად წარმოდგენილი ვაჭრობის ღიაობა, ფისკალური თავისუფლება, კანონის უზენაესობა, კორუფციის კონტროლი, მთავრობის სტაბილურობა, ასევე ინდიკატორებად აღებული მაჩვენებლები ვალუტა, მშპ-ის ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე, საქართველოში უფრო პოზიტიურია აზერბაიჯანთან, ტაჯიკეთთან,

ყირგიზეთთან და ა.შ. შედარებით. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი გათვლებით საქართველოს მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაზე უფრო ნეგატიური მაჩვენებელი გააჩნია.

ცხრილი 2.

**სხვადასხვა მეთოდით გათვლილი ჩრდილოვანი ეკონომიკის
მასშტაბები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში
1995 წელი**

#	ქვეყნები	მედინა- შნაიდერის მეთოდით	კაუფმან- კალიბერდას მეთოდით	ლასკოს მეთოდით
1	აზერბაიჯანი	59,95	60,6	52,8
2	ბელორუსი	53,57	19,3	46,4
3	ესტონეთი	30,51	11,8	35,8
4	საქართველო	71,95	62,6	57,0
5	ყაზახეთი	46,08	34,4	37,9
6	ლატვია	28,65	35,3	43,7
7	ლიეტუვა	32,49	21,6	46
8	რუსეთი	45,65	41,6	39,2
9	უკრაინა	48,92	48,9	52,8
10	უზბეკეთი	-	6,5	29,5
11	მოლდოვა	49,08	35,7	-
12	სომხეთი	47,14	-	-
13	თურქმენეთი	-	-	-
14	ტაჯიკეთი	45,92	-	-
15	ყირგიზეთი	45,93	-	-

ჩვენი აზრით, მიღებული მაღალი შედეგის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია კვლევის ავტორების მიერ ინდიკატორებად აღებული სამი მაჩვენებლიდან ვალუტა, სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს ზრდა, ერთ-ერთ მაჩვენებელში - სამუშაო ძალის მონაწილეობა - არასახარბიელო მონაცემები, ქვეყანაში მაღალია თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში. ასევე,

საანალიზო პერიოდის დასაწყისისთვის საქართველოში ჩრდილოვანი სექტორის მაღალი წილი.

რიგ ქართველ მკვლევარებში ეჭვს იწვევს საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის ასეთი მაღალი დონის არსებობა, ამასთან სხვა კომპეტენტურ საერთაშორისო კვლევებშიაც საქართველო ყველაზე მაღალი ჩრდილოვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორისაა.

საქართველოს ყველაზე მაღალი ჩრდილოვანი სექტორი გააჩნია (ცხრილი 2) მაინც არსებობს განსხვავდება. კერძოდ, 1991 წლისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევაში (მედინა-შნაიდერის მეთოდი) საქართველოში არაოფიციალური ეკონომიკის წილი მშპ-ში 61,47 %-ს შეადგენს, კაუფმან-კალიბერდას მეთოდით კი მხოლოდ 36 %-ს, ხოლო ლასკოს მეთოდით 57 %-ს. მსგავსი და უფრო თვალშისაცემი განსხვავებებია სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიაც. აღნიშნული კვლევების შედეგები ერთმანეთთან დაახლოებულ მაჩვენებლებს იძლევა 2015 წლისთვის. კერძოდ, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის მიხედვით ჩრდილოვანმა სექტორმა 71,95 % შეადგინა, კაუფმან-კალიბერდას კვლევის შედეგებით 62,6 %, ხოლო ლასკოს მიხედვით - 57 %.

ამასთან, როგორც ვხედავთ მაჩვენებელთა დიდი ნაწილი 1995 წლისთვისაა გათვლილი. აღნიშნული წლის შემდგომ დაიწყო საქართველოში ეკონომიკური ზრდის პროცესი, ხოლო ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში განხორციელდა ძირითადი რეფორმები, რომელთა შედეგადაც საქართველომ მრავალ საერთაშორისო რეიტინგში პოზიტიური მაჩვენებლებით დაიმკვიდრა ადგილი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხდება ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტის „დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის“ ეროვნულ ანგარიშებში გათვალისწინება. კერძოდ, „საქართველოს ეროვნული ანგარიშები მოიცავენ არაფორმალური (საკუთარი მოხმარების ან გასაყიდად შინამეურნეობების კუთვნილი არაკორპორირებული წარმოების), ფარული (გადასახადების გადახდის თავის არიდების მიზნით) და არაკანონიერი (უკანონო) წარმოების შეფასებას“ [1, 110].

დაუკვირებადი ეკონომიკის გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში
[წყარო: 2.3.4]

#	მაჩვენებელი	2005 წელი	2010 წელი	2015 წელი	2020 წელი
1	მთლიანი გამოშვება მიმდინარე ფასებში (მლნ.ლარი)	17 436,30	30 475,58	58 103,4	85 524,8
2	დაუკვირებადი ეკონომიკის გამოშვება მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი	5 283,2	6 613,2	6 955,8	10 871,2
3	დაუკვირებადი ეკონომიკის გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში (%)	30,3	21,7	11,97	12,71

ამგვარად, საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ აღირიცხება ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილი, მათ შორის უკანონო წარმოებაც და 2020 წლისთვის მისი მოცულობა 10,8 მლრდ ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი გამოშვების 12,7 %-ს შეადგენს.

როგორც ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოში განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფასა და საკვების მიწოდების საქმიანობებში (სასტუმროები და რესტორნები) გამოშვების ნახევარი დაუკვირვებად სექტორშია აკუმულირებული. ასევე, პროდუქციის მესამედზე მეტი დაუკვირვებად ეკონომიკაზე მოდის ტრანსპორტისა და დასაწყობების სფეროში. ღირებულებით გამოსახულებაში, 2020 წლის მონაცემებით, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის (1 629 მლნ. ლარი) შემდგომ, დაუკვირებადი ეკონომიკის მაჩვენებლები მაღალია განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების

საქმიანობების (სასტუმროები და რესტორნები) (1223,5 მლნ. ლარი), მშენებლობის (1 127,5 მლნ.ლარი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (993,9 მლნ. ლარი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის (827,5 მლ. ლარი), ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების (721,4 მლნ. ლარი) სფეროებში.

საქართველოს სინამდვილეში დაუკვირვებადი ეკონომიკის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები (საოჯახო ფერმები), ავტომანქანებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შემკეთებლები, ბინების გამქირავებლები, რეპეტიტორები, ტაქსების მომსახურეობა, გვხვდება არაოფიციალური დასაქმების, კანონის გვერდის ავლით დაქირავების, გადასახადისგან თავის არიდების შემთხვევები.

არსებული მონაცემების ანალიზის, ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევი მიზეზებისა და მთლიანობაში მისი დეტერმინანტების შესწავლისა და სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეალურად ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები ქვეყანაში არ არის ისეთი მაღალი როგორც მედინა-შნაიდერის კვლევებშია წარმოდგენილი, მაგრამ არც ისეთი დაბალიცაა, როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევებში (ჩრდილოვანი ეკონომიკა ცხადია, დაუკვირვებადი ეკონომიკური საქმიანობის გარდა სხვა სფეროებსაც მოიცავს). მიუხედავად იმისა რომ კვლევის სასტატო ეტაპზე (XX საუკუნის 90-იანი წლები) საქართველოში ძალიან მაღალი იყო ჩრდილოვანი ეკონომიკის როლი, სავარაუდოდ მიმდინარე პერიოდისთვის მისი ხვედრითი წონა 25-35 %-ის ფარგლებშია, ამასთან, მისი ნაწილის გათვალისწინება ხდება ეროვნულ ანგარიშებში. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ საქართველოს მაჩვენებლები გამონაკლისია იმ ჯგუფისთვის რომელსაც საქართველო მიეკუთვნება (საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნები), სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი საშუალოდ 30 %, მაშინ როცა საქართველოს მაჩვენებელი 53,07 %-ს შეადგენს. საქართველოს მაჩვენებელი ასევე გამონაკლისია ევროპის რეგიონშიც, სადაც საანალიზო პერიოდში

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი საშუალოდ მშპ-ის 20 %-ის ფარგლებშია.

ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოთვლის მეთოდები განსხვავებულ მიდგომებს ემყარება. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დასტურდება პრაქტიკით აღნიშნული მეთოდის სისწორე. როგორც ვნახეთ ჩვენს მიერ აღებული სამი სხვადასხვა მეთოდით გათვლილი ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები ახლოსაა ერთმანეთთან. ამასთან, საინტერესოა ისეთი მეთოდების გამოყენებაც, რომელთა გამოყენებისთვისაც მონაცემები ოფიციალურ სტატისტიკაშია მოცემული. ამ მიზნით შევარჩიეთ დასაქმების მაჩვენებელზე დამყარებული მეთოდი.

დასაქმების მაჩვენებელზე დამყარებული მეთოდი. (დასაქმების ფაქტიურ და ოფიციალურ დონეებს შორის განსხვავებაზე დაფუძნებული მეთოდი). ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითად სამუშაო ძალას წარმოადგენს დაურეგისტრირებელი უმუშევრები. ამ შემთხვევაში იგულისხმება მთლიანად ჩრდილოვანი ეკონომიკა, კრიმინალური ეკონომიკის ჩათვლით. მეთოდის გამოყენებისას მთავარ დაშვებას წარმოადგენს ის, რომ შრომის მწარმოებლურობა თანაბარია და აქედან გამომდინარე ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში სამუშაო ძალაში დაურეგისტრირებელი უმუშევრების წილის პროპორციულია. ამ მიდგომის მიხედვით მოსახლეობაში სამუშაო ძალის მონაწილეობის შემცირება ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელია. ამ მეთოდის პირობებში გათვლებისთვის საჭირო მონაცემები ოფიციალურ სტატისტიკაში მოიპოვება (მოსახლეობის რიცხოვნობა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), დასაქმებულების რაოდენობა, მშპ. გათვლების საფუძველს წარმოადგენს ექსპერტულად გათვლილი სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტი.

ზოგჯერ, როდესაც სუსტია (ვერ მყარდება) მყარი, განმეორებადი კავშირი მშპ-ის ცვლილებასა და სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტს შორის, ამ მაჩვენებლის ნაცვლად დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება გამოიყენება.

მეთოდის მთავარ ნაკლოვანებად ითვლება შრომის მწარმოებლურობის გაუთვალისწინებლობა. ამ ხარვეზს ვერც მაშინ გამოვასწორებთ თუ ეკონომიკაში მწარმოებლობის მაჩვენებლის კვალობაზე ექსპერტულად გავთვლით ჩრდილოვან ეკონომიკაში მწარმოებლურობას.

ცხრილი 4.

**ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი საქართველოში
(დასაქმების მაჩვენებელზე დამყარებული მეთოდით)**

წლები	მოსახლეობა (ათასი კაცი)	სამუშაო ძალა (ათასი კაცი)	სამუშაო ძალის მონაწილეობა %	მშპ მიმდინარე ფასებში მონ. ლარი-		გამომწევა მიმდინარე ფასებში მონ. ლარი		ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი %
				სულ	ჩრდილოვან სექტორში	სულ	ჩრდილოვან სექტორში	
2010	3799,8	1603,8	42,21	20743,4	4 771,0	35806,5	8 235,5	23
2011	3773,6	1624,6	43,05	24344,0	5 355,7	44288,1	9 743,4	22
2012	3739,3	1654,7	44,25	26167,3	5 495,1	47293,1	9 931,5	21
2013	3718,4	1627,5	43,77	26847,4	5 637,9	48272,7	10 137,3	21
2014	3716,9	1629,0	43,83	29150,5	6 121,6	52750,0	11 077,5	21
2015	3728,6	1675,6	44,94	33935,0	6 787,0	58103,4	11 620,7	20
2016	3728,6	1653,8	44,35	35836,0	7 525,6	63284,4	13 289,7	21
2017	3726,4	1641,4	44,05	40761,7	8 559,9	70430,4	14 790,4	21
2018	3729,6	1605,2	43,04	44599,3	9 811,8	76716,9	16 877,7	22
2019	3723,5	1572,8	42,24	49252,7	11 328,1	84677,7	19 475,9	23
2020	3716,9	1523,7	40,99	49266,7	11 824,0	85524,8	20 525,9	24

აღნიშნული მეთოდით საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის გათვლისთვის სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტად ჩვენს მიერ აღებულ იქნა 65 %. ამასთან, რადგანაც მშპ-ის გათვლისას საბაზისო წლის ცვლილება ყოველ 5 წელიწადში ხდება, ჩვენ გათვლებისთვის ავიღეთ მშპ მიმდინარე (საბაზრო) ფასებში. ასევე ავიღეთ მთლიანი გამოშვების მაჩვენებელი მიმდინარე ფასებში და შესაბამისად, გამოვთვალეთ ჩრდილოვანი მშპ მიმდინარე ფასებში და ჩრდილოვანი

ეკონომიკის გამოშვება მიმდინარე ფასებში. საანალიზო პერიოდის განმავლობაში მაღალი კორელაცია შეიმჩნეოდა სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტსა და მშპ-ის (პროდუქციის გამოშვების) ცვლილებას შორის.

როგორც ცხრილი 4-ის მონაცემებიდან ჩანს, ჩვენი გათვლებით 2010 წელს საქართველოს ეკონომიკისთვის ჩრდილოვანი ეკონომიკის წილმა 23% შეადგინა, ხოლო 2020 წლისთვის 24%, რაც გულისხმობს დაახლოებით 20 მლრდ ლარის პროდუქციის ჩრდილოვან სექტორში გამოშვებას. ამასთან, ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასება მხოლოდ აღნიშნული გათვლების საფუძველზე არ იქნება მართებული, რადგანაც იგი მოიცავს მხოლოდ დაურეგისტრირებელი სამუშაო ძალისგან შექმნილი პროდუქციის ღირებულებას, ასევე, ამ შემთხვევაში ერთ-ერთი დაშვებაა შრომის მწარმოებლობის გათანაბრება, ასევე სუბიექტურია სამუშაო ძალის მონაწილეობის ექსპერტული მონაცემი. ამასთან ცხადია, ამ მეთოდის გამოყენებასაც აქვს გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა და თუ მისი კორექტირება მოხდება შრომის მწარმოებლობისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დანარჩენი ნაწილის მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჩრდილოვანი ეკონომიკის რეალურ ზომებზე. ჩვენს შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულ პერიოდში მწარმოებლობის ზრდის ტემპს და ჩრდილოვანი ეკონომიკის ამ მეთოდის კვლევის არეალს გარეთ მყოფ ნაწილს, კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავადასტუროთ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში (მთლიან გამოშვებაში) 25-35 %-ის ფარგლებშია.

დასკვნა. ამგვარად, როგორც ვხედავთ კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მკვლევარების მონაცემებით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჩრდილოვანი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. ამასთან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი მონაცემები განსხვავებულია. განსხვავება კი გამოწვეულია გათვლებისას სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით. როგორც ოფიციალური მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის

წილი მაღალია განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობებში (სასტუმროები და რესტორნები), ტრანსპორტისა და დასაწყობების სფეროებში. ფულად გამოსახულებაში კი - საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების (სასტუმროები და რესტორნები), მშენებლობის, ტრანსპორტისა და დასაწყობების, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2020. თბილისი, 2020.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2011. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2013.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2019. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2021.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2020. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2023.
5. Kaufmann Daniel. Kaliberda Aleksander. Integrating the unofficial economy into the dynamics of post-socialist economies: a framework of analysis and evidence (English). Policy, Research working paper; no. WPS 1691. Washington, DC: World Bank. 1996.
6. Kaufmann D., Kaliberda A. Integrating the Unofficial Economy into Dynamics of Post-Socialist Economies: A framework for Analysis and Evidence //Development Discussion Paper #558. Harvard Institute for International Development. 1996. P. 81-120
7. Lacko M. Hidden Economy – an Unknown Quantity? Comparative Analysis of Hidden

Economies in Transition Economies, 1989–95 // Economics of Transition. 2000, № 1. pp. 1-66.

8. Medina Leandro. Schneider Friedrich. Shadow Economies Around the World: What Did We Learn Over the Last 20 Years? IMF Working Paper. 2018.

9. გოგბერაშვილი ე. რა ზომისაა საქართველოს „ჩრდილოვანი ეკონომიკა“? <https://bm.ge/news/ra-zomisaa-saqartvelos-chrdilovani-ekonomika/134105>

10. ტყეშელაშვილი შ. რა ზომისაა საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკა - ორი განსხვავებული ხედვა. <https://bm.ge/news/ra-zomisaa-saqartvelos-chrdilovani-ekonomika---ori-gansxvavebuli-xedva-/42889>

11. მჟავანაძე გ. აქვს თუ არა საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ჩრდილოვანი ეკონომიკა მსოფლიოში? <https://iset-pi.ge/ka/blog/173-does-georgia-have-one-of-the-largest-shadow-economies-in-the-world>.

**განათლების ინტერნაციონალიზაცია, როგორც შრომითი
რესურსების ხარისხის ამაღლების ფაქტორი**
**Internationalization of education as a factor of raising the quality of labor
resources**

დავით ჩახვაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

Davit Chakhvashvili - Professor of the Faculty of Business Technologies,
Georgian National University
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

ანოტაცია: განათლების ინტერნაციონალიზაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მახასიათებელი გახდა, როგორც გარე, ისე შიდა გარემოში. ის უზრუნველყოფს ეროვნული, ინტერკულტურული და გლობალური დონის ინტეგრაციას სწავლებისა და სწავლის, ერთობლივი კვლევისა და სერვისების მიწოდებაში უნივერსიტეტებისა და უმაღლესი განათლების სისტემების მიერ.

მსოფლიოში ინტერნაციონალიზაციის იდეის ხელშემწყობი მთავარი როლის შემსრულებლები ამერიკული და ინგლისური უმაღლესი სასწავლებლები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი პროგრამები და ინსტრუმენტები შესთავაზეს გლობალურ საგანმანათლებლო საზოგადოებას. ერთიანი და დასავლური ორიენტირებული მეცნიერომეტრიული მონაცემთა ბაზების საფუძველზე შედგენილი საერთაშორისო რეიტინგების გამოყენებით უნივერსიტეტების შეფასების პრაქტიკის გავრცელებამ ხელი შეუწყო ისეთი განმარტებების გაჩენას, როგორიცაა „მსოფლიო დონის უნივერსიტეტები“, „საერთაშორისო ხარისხი“ და ა.შ. ამ ყველაფრის დადგენით დაიწყო უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის დონე და ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების სისტემის დაჩქარებული გავრცელება. ამავდროულად, პროცესმა ეროვნული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მათი ეროვნულ-

ისტორიული, სოციალური და სოციოკულტურული თავისებურებების თანდათანობით დაკარგვას შეუწყო ხელი, რაც საზოგადოებების იდენტობის ცოდნის განუყოფელი ნაწილი იყო, რაც განსაკუთრებით მწვავე იყო ე.წ. არა ანგლოსაქსურ ქვეყნებში. დროთა განმავლობაში და ყოვლისმომცველი გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად, დაიწყო ერთიანი მიდგომები ინტერკულტურული სწავლის, სოციალიზაციის პროცესებისა, ევროპული ღირებულებებისა და ანგლო-საქსური კულტურის ძირითადი საფუძვლების დანერგვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ არის ახლა რა იდეოლოგია დომინირებს მსოფლიო საგანმანათლებლო სექტორში.

COVID-19-ის პანდემიამ გაამწვავა გლობალურ საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები და გლობალური ეკონომიკის განვითარების სისუსტეები გამოავლინა. ამასთან დაკავშირებით, არაინგლისურენოვანი და განვითარებადი ქვეყნებისთვის, განათლების ინტერნაციონალიზაციის იდეოლოგიები გვთავაზობენ განათლების მისიონერული ფუნქციის გაძლიერებას, ფოკუსირებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე და მის შესაბამისობაში დასავლურ ღირებულებებსა და იდეალებთან. განვითარებული ეკონომიკებისთვის, უპირველეს ყოვლისა შეერთებული შტატებისთვის, განიხილება ადამიანური რესურსების ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ეკონომიკის რენდუსტრიალიზაციის ამოცანები რეგიონულ უნივერსიტეტებში საინჟინრო განათლების აღდგენის გზით, ხოლო ინტერნაციონალიზაცია განიხილება ექსკლუზიურად მიგრანტების გაახალგაზრდავებისთვის მოზიდვის კონტექსტში. ამრიგად, განათლების ინტერნაციონალიზაცია პოსტპანდემიურ პერიოდში განიცდის ცვლილებებს, როგორც პროცესი მისი რეგულირების კონტექსტში, მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული, ასევე, როგორც უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი. პოლიცენტრიზმის პირობებში ქვეყნების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მისაღები რაოდენობრივი შეფასებების სისტემის ტრანსფორმაცია.

Annotation: The internationalization of education has become a defining characteristic of the competitiveness of higher education institutions, both externally and internally. It ensures the integration of national, intercultural and global levels in teaching, learning, collaborative research and service delivery by universities and higher education systems.

The main actors promoting the idea of internationalization to the outside world were American and English higher education institutions, which offered their programs and tools to the global educational community. The spread of the practice of evaluating universities using international rankings compiled on the basis of unified and Western-oriented scientometric databases contributed to the emergence of such definitions as “world-class universities”, “international quality”, etc. All this began to determine the level of financial support for higher education organizations and the accelerated spread of the system of paid educational services in their activities. At the same time, the process contributed to the gradual loss by national educational institutions of their national-historical, social and sociocultural specificities, which were an integral part of the knowledge of the identity of societies, which was especially acute in non-English-speaking countries. With the passage of time and the development of all-consuming globalization, unified approaches to intercultural learning, socialization processes, and the introduction of European values and the basic foundations of Anglo-Saxon culture into the ethnic groups of different countries of the world began to dominate in the educational sector.

The COVID-19 pandemic has exacerbated existing contradictions in the global community and revealed the fragility (instead of stability) of the development of the global economy. In this regard, for non-English-speaking and developing countries, ideologists of the internationalization of education propose to strengthen the missionary function of education, focusing on the formation of civil society and its compliance with Western values and ideals. For developed economies, primarily the United States, the task of forming human resources capable of implementing the tasks of reindustrialization of

the economy through the restoration of engineering education in regional universities is considered, and internationalization is considered exclusively in the context of attracting migrants to rejuvenate American society. Thus, the internationalization of education in the post-pandemic period will undergo changes both as a process in the context of its regulation, based on the national interests of the countries of the world community, and as a factor determining the competitiveness of a university, transforming the system of quantitative assessments acceptable for ensuring the sustainable development of countries in conditions of polycentrism.

Introduction: The internationalization of higher education has become a defining trend in the modern world. It is difficult to imagine a large university that does not participate in the process of internationalization, which in terms of content represents

9. ნათლად უნდა გვქონდეს გაცნობიერებული რა მიზნები აქვთ ორივე მხარეს.

დისკუსია - ამ ეტაპზე კონფლიქტის ორივე მხარე არსებულ კონფლიქტურ სიტუაციაზე გამოთქვავს მოსაზრებას. განმარტებების დროს მნიშვნელოვანია კარგად მოვუსმინოთ მათ, და მნიშვნელოვანი დეტალების ჩაწერა მოვახდინოთ. ასევე გათვალისწინებული უნდა

იყოს, რომ ორივე მათგანს მივცეთ აზრის დაფიქსირებისთვის ერთი და იგივე დრო.

მიზნების განსაზღვრა - დისკუსიის შემდეგ, ორივე მხარის მიზნები, ინტერესები და შეხედულებები უნდა განიმარტოს. ამ პროცესის დროს ხშირად შესაძლებელია რომ საერთო ინტერესები გამოიკვეთოს, სწორედ ამიტომ მიზნების განმარტება არის მოლაპარაკების პროცესის არსებითი ნაწილი.

შეთანხმება - შეთანხმება მიიღწევა მაშინ როდესაც ორივე მხარის შეხედულებები უკვე განხილულია, მნიშვნელოვანია რომ ყველა ჩართული პირი ორიენტირებული იყოს შეთანხმების მიღწევაზე რომ შეძლონ ყველასთვის მომგებიანი გადაწყვეტილების მიღება. საბოლოო შეთანხმება უნდა იყოს სრულიად ამომწურავი, ნათელი და გასაგები ორივე მხარისთვის.

განხორციელება- შეთანხმების შემდეგ უნდა განისაზღვროს აუცილებელად მოქმედების გეგმა.

ნებისმიერი მოლაპარაკება მოიცავს ორ დონეს: რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების (არსებითი) პროცესი და ფსიქოლოგიური (ემოციური) პროცესი. მოლაპარაკებების შედეგი შეიძლება იყოს როგორც პორველის ასევე მეორე ელემენტის დამსახურება, როგორც წესი ორი ადამიანის უშედეგო მცდელობა იპოვოს ოპტიმალური გამოსავალი ან საუკეთესო ალტერნატივა დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან:

- რამდენად კომფორტულად გრძნობს თავს თითოეული კონფლიქტის მიმართ?
 - როგორ ესმით ან არ ესმით ერთმანეთის?
 - თითოეულის ვარაუდი მეორისა და პრობლემის შესახებ?
 - დამოკიდებულებები და მოლოდინები ერთმანეთის მიმართ?
 - გადაწყვეტილებები რომლებსაც თითოეული იღებს ნდობის შესახებ, გამარჯვების მნიშვნელობის, კონფლიქტის თავიდან არიდების მნიშვნელოვანობის, რამდენად მოსწონს ან არ მოსწონს ერთს მეორე, რამდენად მნიშვნელოვანია რომ „სულელურად არ გამოჩნდე“.
- ასევე შეგვიძლია კონფლიქტის კონტექსტის გაგება:

* რა მნიშვნელოვანი პერსონალური და ორგანიზაციული შედეგები აქვს კონფლიქტს? რა არის სავარაუდო სამომავლო შედეგები?

* რა ქცევითი პატერნები ახასიათებს კონფლიქტს?

* რა არის არსებითი საკითხი? არის თუ არა საკითხი მიკერძოებული თითოეული მხარის აღქმითა და გრძნობებით?

* რა არის ძირითადი და ფონური ფაქტორები რამაც გამოიწვია პრობლემა და მასთან დაკავშირებული გრძნობები, აღქმები და ქცევები?

კვლევითი ნაწილი. მოლაპარაკება - არის პროცესი, რომელშიც კონფლიქტის მონაწილე მხარეები ცდილობენ გამონახონ საერთო ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილებები წარმატებული თანამშრომლობისთვის. მოლაპარაკების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. **მოთხოვნილებების ანალიზი** - მოლაპარაკების ორივე მხარეს აქვთ განსაზღვრული მოთხოვნილებები და მოლაპარაკებაში შესვლით ფიქრობენ მათ დაკმაყოფილებაზე. მოლაპარაკება დამთვრდება უშედეგოდ და კრახით იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს არა აქვთ სურვილი გაიგონ ერთმანეთის ინტერესი. მხარეთა მოთხოვნილებები იცვლება სიტუაციის და მიხედვით.

2. **მოლაპარაკების გაძღოლის სტილის არჩევა** - უპირატესად მოლაპარაკება ხორციელდება შემდეგი სტილით: კონფრონტაცია ან თანამშროლობა.

კონფრონტაციის სტილს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

* მეორე მხარის აღქმა მოწინააღმდეგე მხარედ

* დაუსაბუთებელი მოთხოვნების წამოწევა

* უარყოფითი ემოციების გამოვლენა (აგრესიულობა); ინფორმაციის სიზუსტის დაბალი ხარისხი.

* მეორე მხარის ინტერესების არგაგების სურვილი; საკუთარი თვალსაზრისის არშეცვლის სურვილი.

თანამშრომლობის სტილს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

* სხვა აზრის მქონე მხარეს აღქმა პარტნიორად და პოტენციურ მსგავსად მოაზროვნედ;

დასაბუთებული და აწონილი მოთხოვნების წამოწევა

* უარყოფითი ემოციების კონტროლი, პოზიტიური განწყობის შექმნა,

ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნა

* დათმობაზე.

* მეორე მხარის ინტერესების გაგება; მოქნილობა მოლაპარაკების პროცესში და საკუთარი თვალსაზრისის შეცვლის ალბათობა. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მოლაპარაკების გაძღოლის შერეული სტილი.

3. მოლაპარაკების გაძღოლის კლიმატის კონტროლი - მოლაპარაკების გაძღოლის კლიმატს შეუძლია პოზიტიური ან ნეგატიური გავლენა იქონიოს მოლაპარაკების გაძღოლის სტილზე.

მოლაპარაკების გაძღოლის კლიმატის შექმნისას აუცილებელია ყურადღების კონცენტრირება შემდეგ ასპექტებზე: მოლაპარაკება ატარებს ფორმალურ თუ არაფორმალურ ხასიათს;

4. მოლაპარაკების გაძღოლის ტაქტიკის განსაზღვრა - მოლაპარაკების გაძღოლის პროცესში ჩვეულებრივ გამოიყენება განსხვავებული ტაქტიკები: საკუთარი ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების დემონსტრირება, რათა დაარწმუნოს პარტნიორი მიიღოს პრობლემის გადაწყვეტის მისეული გადაწყვეტილება.

5. მოლაპარაკების გაძღოლის განვითარების მართვა - მოლაპარაკების პროცესი მნიშვნელოვანია კითხვების მართებული ფორმულირება (მხარეთა პოზიციების მკაფიო აღქმა). მოლაპარაკების გაძღოლაში წარმატების მთავარ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ქცევის მანერა, ხიბლი. მოლაპარაკების გაძღოლის პროცესში მნიშვნელოვანია ნაციონალური სტილის გათვალისწინება.

6. მოლაპარაკების შედეგების შეფასება კონფლიქტის გადაწყვეტის თვალსაზრისით:

* რა იყო მიღწეული?

* რაზე შეთანხმდა ორივე მხარე?

* რომელი კითხვები დარჩა ღიად?

* მომავალში რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?

* როგორ უზრუნველვყოთ აღებული ვალდებულების შესრულება?

* რა ფორმით გაკონტროლდება მიღებული შეთანხმებები?

ასევე თანამშრომელთა ხასიათთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას უნდა დაისვას მენეჯერის მიერ შემდეგი კითხვები:

* როგორი ქცევის დემონსტრირებას ახორციელებს თანამშრომელი?

* რამდენად მკაფიოდ არის გამოხატული მისი საქციელი?

* აცნობიერებს თუ არა თანამშრომელი, თუ რომელ წესებს უნდა შეესაბამებოდეს მისი საქციელი?

* თანამშრომლის საქციელი გავლენას ახდენს მასზე, სხვა თანამშრომლებზე თუ

მთლიანად ორგანიზაციაზე?

* აფასებს თუ არა თანამშრომელი ხელმძღვანელის ავტორიტეტს?

* სურს თუ არა თანამშრომელს მიიღოს მხარდაჭერა სხვა ადამიანებისგან?

დასკვნა. ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისთვის აუცულებელია მენეჯერმა მოახდინოს ყველა კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება უმტკინველოდ და დროულად. ასევე იგი განსხვავებულად უნდა მიუდგეს ყველა ინდივიდს. სწორედ მოახდინოს მდგომარეობის შეაფასება და საჭიროებისამებრ მოახდინოს მასზე რეაგირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. balanCivaZe i., konfliktebis marTvis swavleba umaRles saswavlebelSi, saerTaSoriso samecniero-praqtikuli konferencia Temaze “socialur-ekonomikuri ganviTarebis da informatizaciis Tanamedrove problemebi: axali gamowvevebi da perspeqtivebi”, 26-27 oqtომბერი, quTaisi 2013w., gv: 28-30.
2. <https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=238&title=%E1%83%99%E1%88%98>
3. Leung, Yu Fai (2009). Conflict Management and Educational Intelligence. Unpublished Thesis for Degree of Business Administration, Southern Cross University, Lismor. 143

4. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konflikt.pdf
5. <https://bokastutor.com/what-is-conflict/>
6. <https://www.pon.harvard.edu/daily/conflict-resolution/types-conflict/>
7. <https://www.indeed.com/career-advice/career-development/organizational-conflict>
8. <https://open.lib.umn.edu/organizationalbehavior/chapter/10-4-conflict-management/>

ფულადი მასის გაანგარიშების ფორმულის თანამედროვე ხედვები Modern views of the formula for calculating the money supply

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
Valeri Mosiashvili - PhD of Economics, Professor
Georgian National University SEU
vmosiashvili@seu.edu.ge

მეგი გოგნიაშვილი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი
Megi Gogniashvili, Georgian National University SEU
Master of Human Resource Management
mgogniashvili@seu.edu.ge

მარიამ დეკანოსიძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
Mariam Dekanosidze - Georgian National University SEU
mdekanosidze@seu.edu.ge

რეზიუმე: სტატიაში გაანალიზებულია ფულის თეორიების ევოლუცია, როგორცაა: ფულის ლითონური თეორია, სასაქონლო-ლითონური თეორია, ნომინალისტური თეორია, ი. ფიშერის რაოდენობრივი თეორია, კემბრიჯის სკოლის თეორია, ჯ. მ. კეინზის ფულის თეორია, კლასიკური მონეტარული თეორია, კ. მარქსის ფულის რაოდენობრივი თეორია. განხილულია საბანკო ფულის ერას დადგომისა და საბანკო სისტემაში ფულადი რესურსის მულტიპლიცირებით ახალი უნაღდო ფულადი მასის შექმნის შესაძლებლობა, რომლის გათვალისწინებით, ირვინგ ფიშერის „მიმოქცევაში ფულის რაოდენობრივი გაანგარიშების“ ცნობილი ფორმულის სრულყოფის ავტორისეული ვარიანტია შეთავაზებული.

საკვანძო სიტყვები: ფულის ღირებულება, ფულადი ნაკადი, სარეზერვო ფონდი, საპროცენტო განაკვეთი, ფულადი აქტივები.

Summary: The article analyzes the evolution of money theories, such as: metallic theory of money, commodity-metallic theory, nominalist theory, i. Fisher's Quantitative Theory, Cambridge School Theory, J. M. Keynes' theory of money, classical monetary theory, K. Marx's Quantitative Theory of Money. The possibility of the advent of the era of bank money and the creation of a new non-cash money mass by multiplying the monetary resources in the banking system is discussed, considering which, an author's option to perfect the well-known formula of "quantification of money in circulation" by Irving Fisher is offered.

Keywords: value of money, cash flow, reserve fund, interest rate, monetary assets.

შესავალი: ეკონომიკის განვითარებაში ფულისა და ფულადი სისტემის როლის თაობაზე ფულის აღიარებული სხვადასხვა თეორია არსებობს. ფულის თეორიის ევოლუცია განვითარების ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებით განისაზღვრება და ყველა თეორია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებაზეა მიმართული. ესა თუ ის თეორია დასტურს ღებულობს და გარკვეული პერიოდი ბატონობს კიდევაც. თუმცა თანამედროვე პირობებში ზოგიერთი მათგანი, პირიქით, რეალურად ვერ იმკვიდრებს ადგილს, რამდენადაც პრაქტიკა მათ ან არ ადასტურებს, ან გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს, ზოგიერთი კი, უბრალოდ, შეიძლება უარყოფილი იქნეს (Mosiashvili v., 2019).

ფული - რეალურად, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტია, ეკონომიკის მუშაობის ხელშემწყობია და იგი წარმოების პროცესის ყველა სტადიაზე შემოსავლებისა და ხარჯების წრებრუნვის სასიცოცხლო ძალაა. ფულის ძირითადი ფუნქციებია: ღირებულების საზომი, მიმოქცევა საშუალება, გადახდის საშუალება, დაგროვებისა და დაზოგვის საშუალება, მსოფლიო ფული. თანამედროვე პირობებში ფული ასევე სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებსაც ასრულებს.

თანამედროვე პირობებში, როდესაც **ახალი ფულადი მასის** შექმნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია - როგორც ცენტრალურ ბანკს (ემისიის მეშვეობით), ასევე საბანკო სისტემასაც (საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოებით), ი. ფიშერის ცნობილი “გაცვლის განტოლება” გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს.

გამომდინარე იქედან, რომ, ფორმულაში ($Q \times P$) - არის ყველა საქონლისა და მომსახურების ფასების ჯამი, ამდენად, ერთი მხრივ, საჭირო ფულის რაოდენობა წარმოებული პროდუქტების მოცულობაზე და საქონელის ფასების სიდიდეზეა დამოკიდებული. მთლიანი ეროვნული პროდუქტისა (მეპ) და ფასების ზრდასთან ერთად, ფულადი ნიშნების რაოდენობაც უნდა გაიზარდოს. მეორე მხრივ, ფირმულიდან ასევე ჩანს, რომ ფულადი ნიშნების რაოდენობის გადიდება, მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) უცვლელობის პირობებში, ფასების ზრდას გამოიწვევს. ამდენად მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული

ორივე თავისებურება ფულადი მიმოქცევის რეგულირებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული და გამოყენებული.

ფული მიმოქცევაში საჭირო რაოდენობაზე მეტი არ უნდა იყოს, მაგრამ იგი საჭირო რაოდენობაზე ნაკლებიც არ უნდა მიმოიქცეოდეს, რამდენადაც ფულის სიჭარბეს ინფლაციური პროცესების ზრდისაკენ, ხოლო ფულის ნაკლებობას კი - არგადახდებისაკენ, პროდუქტის ჭარბი მარაგისაკენ, წარმოების შეჩერებისაკენ მივყავართ. მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის სიდიდე - ფასების დონეზე, ეკონომიკურ ზრდაზე და დასაქმებაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს. ამიტომ, მიმოქცევაში ფულადი მასა, საერთო ეკონომიკური განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, საჭიროა რეგულარულად გაკონტროლდეს და დარეგულირდეს (Mosiashvili V.).

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ სინამდვილეში, თუ ოდესღაც ფულადი მიმოქცევა საქონელის ნაკადს ემსახურებოდა, დღეს კი - თვით ფული თავისთავად გახდა საქონელი. უფრო მეტიც, ადრე ფული ოქრისთან იყო მიბმული, მაშინ როდესაც ამჟამად მათი როლი უშუალოდ მრავალჯერად გაიზარდა. აქრდან გამომდინარე, ეკონომიკაში ფულადი რეგულირების როლიც უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნულმა გარემოებებმა ეკონომისტები აიძულეს ყურადღება ფულისა და ფულადი მიმოქცევის პრობლემაზე, აგრეთვე ეკონომიკის მიერ ფულადი მიმოქცევის რეგულირების შესაძლებლობებზე გაემახვილებიათ.

ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს **საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციურ გაფართოებაზე** და იმაზეც, რომ ცენტრალური (სახელმწიფო) ბანკის საემისიო საქმიანობისაგან (ახალი ნაღდი ფულის ემისია) დამოუკიდებლად, ფულადი მასის სიდიდე საკრედიტო სისტემაში კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაფართოების ხარჯზეც იზრდება. კომერციული ბანკები ახალ უნაღდო ფულად მასას ქმნიან, როდესაც გასცემენ სესხებს და, პირიქით, ფულადი მასა მცირდება, როდესაც კლიენტები აღებულ დავალიანებს ბანკებს უბრუნებენ [4, გვ. 176-179; 3, გვ. 368-370].

კომერციული ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის პროცესი უფრო დეტალურად შეიძლება შემდეგ მაგალითზე იქნას განხილული. დავუშვათ, კომერციულ ბანკი „თი-ბი-სი“- ს 100 ათ. ლარის მოცულობის საკრედიტო რესურსი (დეპოზიტები) გაუჩნდა. იგი ვალდებულია დადგენილ ვადებში აღნიშნული რესურსების ნაწილი, სავალდებულო რეზერვების ნორმატივის საფუძველზე, ცენტრალურ ბანკში

დაარეზერვოს (გაყინოს) [4, გვ. 279]. მოქმედი სავალდებულო რეზერვების ნორმატივი ლარის დეპოზიტებთან მიმართებაში 10 %-ის ტოლია და აქედან გამომდინარე აღნიშნულ ბანკს კლიენტებზე სესხის გაცემა მხოლოდ 90 ათ. ლარის ოდენობით შეუძლია, ხოლო 10 ათ. ლარი (100 ათ. ლარის 10 %) ცენტრალურ ბანკის რეზერვებში უნდა გადარიცხოს. ბანკის აღნიშნული ქმედების შედეგი გახდა 90 ათ. ლარის ოდენობის ახლი ფულის წარმოშობა.

დავუშვათ, რომ „თი-ბი-სი“ ბანკის კლიენტმა აღებული სესხის 90 ათ. ლარის ოდენობის თანხა „რესპუბლიკა“ ბანკში დეპოზიტზე განათავა. ამ ბანკში დეპოზიტის გადიდება მას ახალი სესხის გაცემის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან მანაც დეპოზიტების თანხის 10 % რეზერვში (9 ათ. ლარი) უნდა მიმართოს. ამდენად ამ ბანკის მიერ გაცემული სესხის მოცულობა უკვე 81 ათ. ლარის ტოლი იქნება, ხოლო ფულადი მასის საერთო ნაზარდი (ორი ბანკის ოპერაციების გათვალისწინებით) $(90+81) = 171$ ათ. ლარის ტოლი იქნება და ა. შ. განხილვის ლოგიკას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: **ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის პროცესი გაგრძელდება, მაგრამ არა უსასრულოდ, არამედ გარკვეულ ზღვრამდე. აღნიშნული პროცესი საბანკო დეპოზიტების გაფართოების მულტიპლიკაციური ეფექტის მახასიათებელია და იგი შეიძლება სარეზერვო მოთხოვნების გათვალისწინებით იქნას გაანგარიშებული.** საბანკო დეპოზიტების გაფართოების ზღვარი იქნება (Valeri, DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“, 2022):

$100 \text{ ათ. ლარი} + 90 + 81 + 72,9 + \dots = 100 \text{ ათ. } (1 + 0,9 + 0,9 \text{ კვადრატში} + 0,9 \text{ კუბში} + \dots) = 100 \text{ ათ. ლარი} / (1 - 0,9) = 1 \text{ მლნ. ლარს.}$

ამრიგად, 10 %-იანი სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნისას 100 ათ. ლარის საწყისი დეპოზიტი საბანკო დეპოზიტების 1 მლნ. ლარამდე გაფართოების მულტიპლიკაციურ ეფექტად გადაიქცა (Valeri, sabanko saqme, 2021).

ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის გზით ფულადი მასის გაფართოების სიდიდის კონკრეტულად შეფასების შესაძლებლობას ფულადი მიწოდების მულტიპლიკატორი, ანუ საბანკო მულტიპლიკატორი (B_m) იძლევა. იგი გაიანგარიშება ფორმულით [4, გვ. 181-184]:

- საბანკო საკრედიტო მულტიპლიკატორის (B_m) მაქსიმალური მნიშვნელობა $B_m = (1 / r) \times 100$,
- საბანკო საკრედიტო მულტიპლიკატორის (B_m) რეალური მნიშვნელობა კი - $B_m = ((1 - r) / (r + c)) \times 100$.

სადაც: r - არის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი, პროცენტებში;

c - არის ბანკის მიერ გაცემული სესხის მოცულობიდან კლიენტის მიერ გარკვეული ნაწილის ნაღდი ფულის სახით გატანილი მოცულობა, პროცენტებში.

ჩვენს მაგალითში საბანკო მულტიპლიკატორი $Bm = 1 / 10\% = 10$ -ის ჯერადს, ანუ რესურსების გადიდების თითოეულმა 1 ლარმა შეიძლება რესურსების 10 ლარით გადიდება გამოიწვიოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო მულტიპლიკატორის სიდიდე სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნებთან უკუ დამოკიდებულებაშია. თუ სავალდებულო რეზერვების განაკვეთი 5 %-მდე შემცირდება, მაშინ საბანკო მულტიპლიკატორი (Bm) ტოლი იქნება - 20-ის, ხოლო თუ იგი 20 %-მდე გაიზრდება, მაშინ Bm - ის მნიშვნელობა 5-მდე შემცირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ამავე დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყარო“, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ ეკონომიკის სისხლია, ხოლო მთლიანად „საბანკო სისტემა“ კი - მისი სისხლგამტარი არტერიებია, და აქედან გამომდინარე შეიძლება ვაღიაროთ, რომ „ბანკები“ - უეჭველად, „გულებია“, მრომლებიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე, საქმიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებენ და სისხლგამტარი სისტემების მეშვეობით სისხლის (ფულის) გადატუმბვას ახორციელებენ. სამედიცინო ანალოგიის გაგრძელებით, შეიძლება ითქვას, რომ რამდენად წარმატებულია ბანკების საქმიანობა, იმდენად ისინი რითმიულად და პროდუქტიულად „ამომრავებენ სისხლი (ფულს)“ და „ინფარქტის“ ზემოქმედებას არ განიცდიან, მათ „ტრომბი“ არ ემურებათ და მათი სასიცოცხლო საქმიანობის მეშვეობით ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური განვითარების შესახებ მსჯელობა არის შესაძლებელი. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80 – 90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ამასთან, ისიც არის უმნიშვნელოვანესი, რომ საბანკო სისტემაში

მულტიპლიცირების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა არის შესაძლებელი, რომლის გაუთვალისწინებლობა შეიძლება ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გართულების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც კი იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში თანამედროვე საბანკო სისტემაში ანგარიშსწორებებისათვის ძირითადად საბანკო ანგარიშები გამოიყენება და ჩეკების, საკრედიტო ბარათების, უნაღდო ანგარიშსწორების სახით - **საბანკო ფულის ერა (11, გვ. 365)** ყალიბდება (Mosiashvili Valeri, 2022).

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ირვინგ ფიშერის ფორმულაში ($Q \times P$) - ნომინალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) (**gross national disposable income - CDI**) მაჩვენებლის შესაბამისია (იგი ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის - მშპ-ის მაჩვენებლის თითქმის იდენტურია), ანუ $(Q \times P) = CDI$ (მეპ-ს) და **საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოების $(D \times Bm) = ((D \times (1 - r) / (r + c))$ პროცესების გათვალისწინებით, თანამედროვე განვითარებული საბანკო სისტემის პირობებში მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი მასის რაოდენობრივი გაანგარიშების ფორმულა ჩვენი მტკიცებით შემდეგი სახით უნდა იქნეს ჩამოყალიბებული:**

$$M = (Q \times P) / V - (D \times Bm) = (CDI / V) - (D \times Bm) = ((CDI / V) - (D \times (1 - r) / (r + c)) ,$$

სადაც : M - არის მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი მასის რაოდენობა;

CDI - არის (gross national disposable income) მთლიანი ეროვნული

პროდუქტის (მეპ) ღირებულება;

V - არის ერთი ფულადი ერთეულის ბრუნვის სიჩქარე;

D - არის საბანკო სისტემაში არსებული რესურსების (დეპოზიტების)

მოცულობა;

Bm - არის **საბანკო მულტიპლიკატორის** მნიშვნელობა;

r - არის ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი

სავალდებულო რეზერვების ნორმატივი (პროცენტულად ათწილადებში);

c - არის ბანკის კლიენტების მიერ საკუთარი ანგარიშიდან აღებული სესხის

გარკვეული ნაწილის ნაღდი ფულის სახით გატანილი თანხა,
(პროცენტულად ათწილადებში).

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის წლიური ანგარიშის (2014 წ.) მიხედვით (www.nbg.gov.ge):

- ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 29,187,0 მლნ ლარია;
- ფულის მიმოქცევის სიჩქარე - 2,40;
- ფულის მულტიპლიკატორი (M2) - 1,31;
- ნაღდი ფული მიმოქცევაში - 2,462,108 ათ. ლარია;
- ფართო ფული (M2) - 5,911,310 ათ. ლარია;
- დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში - 3,968,728 ათ. ლარია;
- დეპოზიტები უცხოურ ვალუტასი - 5,278,526 ათ. ლარია.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით:

$$M \times V = 29,187,000,000$$

$$\text{ფულადი მასა } M = \dots\dots\dots = \dots\dots\dots = 12,161,250 \text{ ათ. ლარს.}$$
$$V = 2,40$$

გამომდინარე იქედან, რომ მიმდინარე პერიოდისათვის ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი დეპოზიტებისათვის: ეროვნულ ვალუტაში 10%-ის და უცხოურ ვალუტაში 15%-ის ოდენობით არის დადგენილი, და ბანკების მიერ გაცემული სესხების მთლიანი მოცულობიდან ნაღდი ფულის სახით $c = 50\%$ -ის ოდენობით გატანის შემთხვევაში, რეალური საბანკო მულტიპლიკატორი ტოლი იქნება:

- ეროვნულ ვალუტაში $B_m = (1 - r) / (r + c) = (1 - 0,10) / (0,10 + 0,50) = 1,5$;
- უცხოურ ვალუტაში $B_m = (1 - r) / (r + c) = (1 - 0,15) / (0,15 + 0,50) = 1,3$.

შესაბამისად, აღნიშნული პერიოდისათვის ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში არსებული დეპოზიტების მეშვეობით თავისთავად ახალი უნაღდო ფულადი მასა იქმნება: $(3,968,728 \times 1,5) + (5,278,526 \times 1,3) = 12,815,176$ ათ. ლარის მოცულობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება სამართლიანად ავლნიშნავთ, რომ ქვეყანაში ასეთი მოცულობის (29,187,0 მლნ ლარი) მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და ფულის ბრუნვის სიჩქარის პირობებში, მანამ სანამ მშპ-ის მოცულობა თუნდაც 5 - 10-ჯერ არ გაიზრდება და საბანკო სექტორის მონაცემები მშპ-სთან მიმართებაში

სავარაუდოდ: აქტივები 90 %-ზე მეტი, კაპიტალი 14 – 15 % და კრედიტები 55 – 60 % არ გახდება, ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში პერიოდულად ახალი ნაღდი ფულადი მასა კი არ უნდა გამოშვას, არამედ ჯერ-ჯერობით კომერციული ბანკების მოთხოვნის შესაბამისად (და მათ მიერ მის ანგარიშზე უნაღდო რესურსის გადარიცხვის შემთხვევაში) უნდა გასცეს ნაღდი ფული.

ჩვენს მიერ განხილული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ (Mosiashvili V.):

1. ფული - რეალურად, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტია, ეკონომიკის მუშაობის ხელშემწყობია და იგი წარმოების პროცესის ყველა სტადიაზე შემოსავლებისა და ხარჯების წრებრუნვის სასიცოცხლო ძალაა.

2. ოქროს სტანდარტის კრახმა ფულადი თეორიის პრინციპული დებულებების გადახედვა გამოიწვია, რამაც, ერთი მხრივ, ახალი კონცეფციების წარმოშობას, მეორე მხრივ კი - ძველის განახლებას შეუწყო ხელი.

3. ფასების დონეზე და თვით ფულის ღირებულებაზე ფულადი მასის ზემოქმედების პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა ფულად-საკრედიტო მიმოქცევის განვითარებისას შეიძინა. თუ ლითონური ფულის მიმოქცევისას პირდაპირი ზემოქმედების მექანიზმი მოქმედებდა, ანგარიშსწორებების საკრედიტო ინსტრუმენტების (თამასუქების, ბანკნოტების, ჩეკების) გავრცელების პირობებში კი ფულადი მასის ფასებზე ზემოქმედება სააღრიცხვო განაკვეთის დონით ხორციელდებოდა.

4. თანამედროვე პირობებში, როდესაც ახალი ფულადი მასის შექმნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია - როგორც ეროვნულ ბანკს (ემისიის მეშვეობით), ასევე საბანკო სისტემასაც (საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოებით), მიგვაჩნია, რომ ი. ფიშერის „მიმოქცევაში ფულის რაოდენობრივი განგარიშების ფორმულა“ გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს.

5. სინამდვილეში, თუ ოდესღაც ფულადი მიმოქცევა საქონლის ნაკადს ემსახურებოდა, დღეს კი - თვით ფული თავისთავად გახდა განსაკუთრებული საქონელი. უფრო მეტიც, ადრე ფული ოქრისთან იყო მიბმული, მაშინ როდესაც ამჟამად მისი როლი უშუალოდ მრავალჯერადად გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკაში ფულადი რეგულირების როლიც უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნულმა გარემოებებმა ეკონომისტები აიძულეს მნიშვნელოვანი

ყურადღება ფულისა და ფულადი მიმოქცევის პრიბლემებზე, საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების პროცესის საფუძველზე საკმაოდ დიდი მოცულობის ახალი უნაღდო ფულადი მასის შექმნის, აგრეთვე ეკონომიკის მიერ ფულადი მიმოქცევის რეგულირების შესაძლებლობებზე გაემახვილებიათ.

6. მნიშვნელოვანია ყურადღება ასევე გაემახვილებული უნდა იქნეს საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციურ გაფართოებაზე და იმაზეც, რომ ეროვნული ბანკის საემისიო საქმიანობისაგან (ახალი ნაღდი ფულადი მასის ემისია) დამოუკიდებლად, ფულადი მასის სიდიდე საკრედიტო სისტემაში კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაფართოების ხარჯზეც მნიშვნელოვნად იზრდება და კომერციული ბანკები საკმაო მოცულობის ახალ უნაღდო ფულად მასას ქმნიან.

7. ბანკების მიერ ახალი უნაღდო ფულადი მასის შექმნის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივად გრძელდება, მაგრამ არა უსაზღვროდ, არამედ, გარკვეულ ზღვრამდე. არნიშნული პროცესი საბანკო დეპოზიტების გაფართოების მულტიპლიკაციური ეფექტის მახასიათებელია და იგი შეიძლება სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების გათვალისწინებით იქნეს გაანგარიშებული. 10 %-იანი სარეზერვო მოთხოვნისას 100 ათასი ლარის საწყისი დეპოზიტი საბანკო დეპოზიტების 1 მლნ ლარამდე გაფართოების მულტიპლიკაციურ ეფექტად იქცეს. ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის გზით ფულადი მასის გაფართოების სიდიდის კონკრეტულად შეფასების შესაძლებლობას ფულადი მიწოდების მულტიპლიკატორი, ანუ საბანკო მულტიპლიკატორი იძლევა.

8. თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ შესაბამისი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80 – 90 %-მდე) მოზიდვა და მათი (დაკრედიტების მეშვეობით) მსესხებლებისაკენ მიმართვა ხორციელდება, თან საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის - არსებული საბანკო რესურსების მრავალჯერადი ახალი უნაღდო ფულადი მასის შექმნა ხორციელდება.

ავტორი თავაზობს მკითხველებს, მეცნიერებსა და პრაქტიკოს წარმომადგენლებს, განიხილონ სტატიაში განხილული პრობლემა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება, რაც, უეჭველად, მისი გადაწყვეტის საქმეში რეალურ სარგებლობას მოიტანს.

ბიბლიოგრაფია

1. Mosiashvili v. (2019 წლის 3 6).
https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640.
მოპოვებული
<https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640>.-დან
2. Mosiashvili Valeri. (2022 წლის 21 November).
http://ijsser.org/more2022.php?id=262. მოპოვებული
<http://ijsser.org/more2022.php?id=262>.-დან
3. Mosiashvili, V. (2022). *https://ijsser.org/index.php.*
4. Mosiashvili, V. (თ. გ.). https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95.
https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95. Turiba.
5. Valeri, M. (2021). *sabanko saqme*. Tbilisi: Dani.
6. Valeri, M. (2022). DIGITALIZATION – DIGITAL TRANSFORMATION OF BUSINESS PROCESS IN CREDIT SYSTEM“. *International Journal of Social Science and Economic Research*, <https://ijsser.org/view/past2022.php?issue=12>.

კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვა, ლიკვიდობის რისკ - მენეჯმენტი

Commercial bank liquidity management, liquidity risk management

გიორგი ჯამბრიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

Giorgi Jambrishvili - Georgian National University SEU

g.jambrishvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი - როგორც მოგეხსენებათ, ეკონომიკის ზრდის ტემპის გრძელვადიანი შენარჩუნებისთვის ფინანსური სტაბილურობა გადამწყვეტი ფაქტორია. ფინანსური სტაბილურობის მთავარი განმსაზღვრელი პირობა, კი ძლიერი საბანკო სისტემაა. თანამედროვე პირობებში საბანკო სექტორში საბაზრო მექანიზმების პრინციპების შესწავლის მეთოდების ღრმა ცოდნა და მათი გონივრული გამოყენება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული საბანკო სექტორი ეკონომიკის ყველაზე სწავად მზარდ სექტორად იქცა, ამ ყოველივემ კი ბანკების საქმიანობაში ლიკვიდობის მნიშვნელობას მთავრი ფოკუსი შესძინა. სტატიის მიზანია საბანკო ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფა და იმ მნიშვნელოვანი ასპექტების მიმოხილვა, რომლებიც გავლენას ახდენენ საბანკო ლიკვიდობაზე.

სტატიაში წარმოდგენილია ლიკვიდობის მარეგულირებელი ბერკეტები და მართვის სტრატეგიები. განხილულია, ბაზელ - 3 საერთაშორისო მარეგულირებელი შეთანხმების მიერ შემოღებული ბერკეტები და მოთხოვნები საბანკო ლიკვიდობის მიმართ. ასევე, მაქსიმალური ლიკვიდობის მიღწევის 11 სტრატეგია და შესაბამისი ეტაპები.

ბანკის ლიკვიდობა -წარმოადგენს ბანკის უნარს, თავისდროულად და დანაკარგების გარეშე შეძლოს კრედიტორებისა და მენაბრეების წინაშე არებული ვალდებულებების სრულფასოვნად შესრულება.

სტატიაში წარმოდგენილია, ლიკვიდობის გაუმჯობესებისა და რეგულირების გზები, მისი უკეთ მართვის მეთოდები და კონრეტული გზები, რომელიც საბანკო კრიზისის დროს ბანკს ოპტიმალურობისა და მდგრადობის შენარჩუნებაში დაეხმარება.

საკვანძო სიტყვები : საბანკო ლიკვიდობა, ბაზელ III, ლიკვიდობის მართვის სტრატეგიები, ლიკვიდობის რისკ-მენეჯმენტი.

Abstract - as you know, financial stability is a crucial factor for the long-term maintenance of the growth rate of the economy. The main determinant of financial stability is a strong banking system. Deep knowledge of the methods of studying the principles of market mechanisms and their wise use occupy a special place in the banking sector in modern conditions. Since the last decades, the banking sector has become the fastest growing sector of the economy, and all this has added a major focus to the importance of liquidity in the activity of banks. The purpose of the article is to perfect the issues related to bank liquidity management and review the important aspects that affect bank liquidity.

The article presents liquidity regulatory levers and management strategies. Leverages and requirements for banking liquidity introduced by the Basel-3 international regulatory agreement are discussed. Also, 11 strategies and corresponding stages for achieving maximum liquidity.

Bank's liquidity - represents the bank's ability to fully fulfill its obligations to creditors and depositors on time and without losses.

The article presents ways of improving and regulating liquidity, methods of its better management and concrete ways that will help the bank to maintain optimality and stability during the banking crisis.

Key words: banking liquidity, Basel III, liquidity management strategies, liquidity risk management.

შესავალი - თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მრავალი მოსაზრება არსებობს ლიკვიდობის ცნების შინაარსის შესახებ. ექსპერტთა ერთი ნაწილისთვის ლიკვიდობა არის ბანკის უნარი, შეასრულოს სასესხო ვალდებულებები შესაბამის დროს, შესაბამისი მოცულობით. ეს არის ბანკის შესაძლებლობა, სრულად და დროულად შეასრულოს თავისი სასესხო ვალდებულებები. მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე შეძლოს თავისი აქტივების დაფინანსება და დაფაროს ვალდებულებები დაფარვის ვადის დადგომამდე. ტერმინი ლიკვიდობა ინგლისური ტერმინის liquidity სა და ფრანგულის სტყვისგან liquidus წარმოიშვა რაც თვხედს, დენადს ნიშნავს. ლიკვიდობის მართვის მთავარ მიზანს ბანკთაშორის ფულად ბაზარზე

მოლვეადიანი საპროცენტო განაკვეთის რეგულირება წარმოადგენს. ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთების რეგულირებით ცდილობს ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას. ლიკვიდობა ბანკის მომავალი არსებობისა და დაფინანსების გაზრდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ საბანკო მენეჯმენტის მხრიდან ბანკის ლიკვიდობის სწორ და ჩამოყალიბებულ მენეჯმენტს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკვია ბანკის მაღალ წარმადობაში. შესაბამისად, შეგვიძლია ლიკვიდობის მართვა ორი მიმართულებით განვიხილოთ : ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო სისტემის ლიკვიდობის მართვა და თითოეული კომერციული ბანკის მიერ საკუთარი ლიკვიდობის კონტროლი.

ძირითადი ნაწილი - კომერციული ბანკის ხელმძღვანელობის წინაშე მუდმივად დგას საკითხი, თუ რომელ ფინანსურ ინსტრუმენტებში, რა მოცულობით და ვადით განათავსოს თავის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები. აღნიშული ისე უნდა განხორცილდეს რომ, უზრუნველყოფილ იქნეს შემოსავლიანობის სათანადო დონე და ბანკი არ აღმოჩნდეს ლიკვიდური სახსრების უკმარისობის წინაშე. ნებისმიერმა ბანკმა ჯერ უნდა შეიმუშაოს, შემდეგ კი პრაქტიკაში გამოიყენოს ლიკვიდობის ოპტიმალური დონის შენარჩუნების ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ბანკის კლიენტების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს ფულად სახსრებზე და იმავე დროს, ბანკის აქტივების სათანადო რენტაბელობას. იმ ღონისძიებების და მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნებისკენაა მიმართული, შეიძლება ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგია ვუწოდოთ. ლიკვიდობის მართვა სხვადასხვა ბანკში განსხვავებულია და მათ სპეციალიზაციაზე, კლიენტურაზე, ჩატარებულ ოპერაციებსა და სვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ბანკის მუშაობის პროცესში ლიკვიდობის მართვის მეთოდოლოგია მუდმივად უნდა იცვლებოდეს და უმჯობესდებოდეს, იმისთვის, რომ ადეკვატურად მოხდეს რეაგირება კონიუნქტურულ ცვლილებებზე.

ბაზელი III საერთაშორისო მარეგულირებელი შეთანხმებაა, რომელმაც რეფორმების ნაკრები შემოიღო რათა შეემცირებინა რისკები

საერთაშორისო საბანკო სექტორში. ბანკების მიმართ მოთხოვნების ნაკრები, რომელიც გულისხმობს შეინარჩუნონ გარკვეული ბერკეტების კოეფიციენტები და სარეზერვო კაპიტალის გარკვეული დონე ხელთ. დაწყებულია 2009 წელს და 2022 წლიდან დღემდე ხორციელდება. ბაზელ III-ის მიხედვით, კაპიტალის მინიმალური ჯამური კოეფიციენტი, რომელიც ბანკმა უნდა შეინარჩუნოს, არის მისი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების Risk-weighted assets (RWAs) 8% , ხოლო პირველადი კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტი 6%.

ბაზელ III- მ ასევე შემოიღო ახალი ბერკეტები და ლიკვიდობის მოთხოვნები, რომლებიც მიზნად ისახავს გადაჭარბებული და სარისკო დაკრედიტებისგან დაცვას. ხოლო ფინანსური სტრესის პერიოდში ბანკების საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მან დაადგინა ბერკეტების კოეფიციენტი ეგრედ წოდებული „გლობალური სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის“. კოეფიციენტი გამოითვლება როგორც კაპიტალი გაყოფილი ბანკის მთლიან აქტივებზე, მინიმალური თანაფარდობის მოთხოვნით 3%. აგრეთვე საყურადღებოა ბაზელ III-ის მიერ ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რამდენიმე წესი. პირველი, რომელიც ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტს ეხება მოითხოვს, რომ ბანკებს ჰქონდეთ „მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების“ - high-quality liquid assets (HQLA) საკმარისი რეზერვი, რათა მათ შეეძლონ მნიშვნელოვანი ლიკვიდობის სტრესის პერიოდში გადარჩენა. HQLA ეხება იმ აქტივებს, რომლებიც შეიძლება სწრაფად გარდაიქმნას ნაღდ ფულად, ღირებულების მნიშვნელოვანი დაკარგვის გარეშე. ლიკვიდობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი დებულება არის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი net stable funding (NSF), რომელიც ბანკის „ხელმისაწვდომ სტაბილურ დაფინანსებას“ (ძირითადად კაპიტალი და ვალდებულებები ერთ წელზე მეტი დროის ჰორიზონტით) სტაბილური დაფინანსების ოდენობასთან ადარებს. რომელიც მას სჭირდება. ბანკის NSF კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 100%. ამ წესის მიზანია „ბანკებისთვის შექმნას სტიმული თავიანთი საქმიანობა დააფინანსონ უფრო სტაბილური წყაროებით მუდმივ საფუძველზე“ და არა თავიანთი

ბალანსების „მედარებით იაფი და უხვი მოკლევადიანი საბითუმო დაფინანსებით“ დატვირთვა.¹⁰

საბაკო ლიკვიდობის მართვის სტრატეგიები :

1. ზუსტი ფულადი ნაკადების პროგნოზი: ფულადი სახსრების ზუსტი პროგნოზირება ლიკვიდობის მართვის შესანიშნავი საფუძველია. ფულადი ნაკადების ზუსტი პროგნოზების შემუშავებით, მარტივადაა შესაძლებელი ფულადი სახსრების არსებული მდგომარეობის დროის სხვადასხვა მომენტში შეფასება და იმის განსაზღვრა თუ რამდენად სრულფასოვნად გამოიყენებიან ისინი მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარავად. ეს საშუალებას აძლევს ბიზნესს, უყოყმანოდ და გადაწყვეტილების მიღების ხანგრძლივი პროცესის გარეშე, გადაიხადოს კრედიტორების წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებები.

2. კონტრაგენტის გადახდისუნარობის რისკი: კონტრაგენტებთან ბიზნესის დაწყებამდე აუცილებელია , რომ შემოწმდეს მათი ლიკვიდობის რისკი. თანხის მნიშვნელოვანი დანაკარგებისგან თავის არიდებისთვის კონტრაგენტის გადახდისუნარობის გამო.

3. გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკა და სახელმძღვანელო მითითებები: მნიშვნელოვანია , მართლზომიერი მითითებები და პოლიტიკა ფულადი სახსრების განაწილებასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის ფინანსური სიძლიერისთვის ზიანის მომტანი ინვესტიციები, ამ გზით, ლიკვიდობის პოზიცია დარჩება სასურველ დონეზე.

4. გარე რისკების ანალიზი: გარე ტენდენციები, როგორცაა საბაზრო რისკი, შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ლიკვიდობაზე. გაზრდილმა საპროცენტო განაკვეთებმა და უფრო მაღალმა ფასებმა, შეიძლება საკმაოდ ძლიერ იმოქმედოს კომპანიის სასურველი ლიკვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობაზე. ფინანსური კრიზისები, ისევე როგორც ბოლოდროინდელი COVID-19 გარემოებები, გარე ტენდენციების კარგი მაგალითია, რამაც ლიკვიდურობა შეაფერხა.

¹⁰ <https://www.investopedia.com/terms/b/basell-iii.asp>

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მსგავსი პოტენციური გარე რისკების გათვალისწინება.

5. საოპერაციო რისკების თავიდან აცილება: საოპერაციო რისკები, როგორცაა ადამიანური შეცდომები, ისევე როგორც თაღლითობა, შეიძლება გამოვლინდეს და თავიდან იქნეს აცილებული სწორი კონტროლის პროცესის დანერგვით. საოპერაციო რისკებთან გამკლავების შემდეგ, ლიკვიდობის რისკი მნიშვნელოვნად მცირდება.

6. დებიტორული დავალიანების ეფექტური მართვა: მნიშვნელოვანია დებიტორული დავალიანების გადახდების დროული და მოწესრიგებული მართვა. ეს გადამწყვეტია ბიზნესის წარმადობისთვის, რათა კომპანიას გააჩნდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოვალეებისა და მომწოდებლებისთვის გადასახდელად.

7. ხშირი ანალიზი: პერიოდული ანალიზი ფულადი სახსრების მომიჯნევისა და მიმდინარე ლიკვიდობისა, რათა შენარჩუნებულ იქნეს კომპანიის ფინანსური მდგრადობა. ამ გზით შესაძლებელია ნებისმიერი რისკის შემცირება, რომელიც საფრთხეს უქმნის ბანკს.

8. ყველა ფინანსური მონაცემის ცენტრალიზება: ბანკების, მომწოდებლების, მომხმარებლების, შვილობილი კომპანიების, თანამშრომლების მზარდი რაოდენობის გამო, ლიკვიდობის მართვა რთულდება. ეს ნიშნავს, რომ უნდა ენდო ყველას და მიიჩნიო, რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის დროული და სწორი, რათა გამოყენებულ იქნეს ლიკვიდობის სრულყოფილი ანალიზისთვის. ფინანსთა და ხაზინის გუნდებს შეუძლიათ დაზოგონ დრო და რესურსები რათა თავიდან აიცილონ შეცდომები, ამისთვის საუკეთესო გზაა ყველა მონაცემის ცენტრალიზება ლიკვიდობის მართვის ცენტრალიზებულ სისტემაში.

9. ავტომატური მოხსენება: ლიკვიდობის მართვის ავტომატური ანგარიშგება ამცირებს ადამიანის მიერ წარმოქმნილი შეცდომების რისკს და მნიშვნელოვნად ამცირებს დროს ლიკვიდობის შესახებ რეგულარული ხელით ანგარიშგებასთან შედარებით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მონაცემების ამოღება მრავალი წყაროს სისტემიდანაა საჭირო.

10. სეზონური კორექტირება: მრავალი ბიზნესი ძალიან მგრძობიარეა სეზონურობის მიმართ. ამ დროს, გასათვალისწინებელია სეზონური კორექტირება ლიკვიდობის ანალიზში. ეს ნიშნავს, რომ ბანკის ფულადი სახსრების შემოდინება და გადინება განსხვავდება თითოეული სეზონის მიხედვით, რაც უნდა იყოს აღრიცხული, რათა განისაზღვროს, რომ შესაძლებელია კრედიტორების მიმართ აღებული ვალდებულებების დაკმაყოფილება.

11. პროგნოზირებადი ანალიტიკა: პროგნოზირებადი ანალიტიკა, მანქანური სწავლებით (ML) ან ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით, გვაძლევს მაქსიმალურად დეტალური პროგნოზების საშუალებას გარე მოვლენებთან და სეზონურობასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ალგორითმები შეიძლება გამოყენებულ იქნას ფულადი ნაკადების დარღვევების გამოვლენისთვის. ეს ყოველივე კი უზრუნველყოს ლიკვიდურობის რისკის მაქსიმალურ შემცირებას.¹¹

დასკვნა: ამრიგად, ბანკის ლიკვიდობის სრულფასოვანი ანალიზისთვის განსაკუთრებული ყურადღება ბანკის მენეჯმენტის კომპეტენტურობასა და ბანკში დანერგილი საინფორმაციო და კონტროლის სისტემის ადეკვატურობაზე უნდა გამახვილდეს. მნიშვნელოვანია, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის სხდომების რეგულარული ჩატარება და აღნიშნული კომიტეტის მიერ მომზადებული ინფორმაციის განხილვა კომერციული ბანკის მენეჯმენტის მიერ. რათა შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული. ლიკვიდობის ოპტიმალური მართვისათვის საყურადღებოა, კომერციული ბანკის ლიკვიდობის მართვის სამსახურის მერ უზრუნველყოფილ იქნას ლიკვიდობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის მიღება და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს მასზე ოპერატიული რეაგირება. საბანკო სისტემის ლიკვიდობის სტაბილურ დონეზე შესანარჩუნებლად აუცილებელია ლიკვიდობის მართვის ხარისხის გაუმჯობესება მონეტარული ხელისუფლების ზომებთან ერთად. ეს

¹¹ <https://www.nomentia.com/blog/introduction-to-liquidity-management-objectives-risk-strategies>

მოიცავს, როგორც შიდა კონტროლის სრულყოფის საკითხს, ასევე ლიკვიდობის მართვის საკუთარი მოდელების შემუშავებასა და გამოყენებას.

საკრედიტო ორგანიზაციებისა და მთლიანობაში საბანკო სისტემის დონეზე, ლიკვიდობის მართვის ეფექტური სისტემის არსებობა, სისტემური საბანკო კრიზისების თავიდან აცილებისა და საბანკო სისტემის დინამიკურად ფუნქციონირების წინაპირობებს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები. საქართველოს ეროვნული ბანკი . თბილისი 2006;
2. კოვზანაძე ი, კონტრიძე თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი გამომცემლობა „თსუ“ 2022 ;
3. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=540> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.01.2024
4. Тавасиев А.М., Основы банковского дела, Москва.2006.
5. <http://www.statistics.ge/> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.01.2024 ;
6. ук Ж. Финансовые системы Франций и других стран. В 2-х тт. Пер.с фр. Т1 в 2 кн. М.:АО Финстатинформ, 2000. с130
7. <https://www.investopedia.com/terms/b/basell-iii.asp> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.01.2024
8. <https://www.nomentia.com/blog/introduction-to-liquidity-management-objectives-risk-strategies> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 17.01.2024

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი -
ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები.

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი/davit.chakhvashvili@seu.edu.ge

International peer-reviewed and peer-reviewed scientific journal -
Economics and Finance

The journal is an academic publishing house that publishes quarterly academic articles in the fields of economics, finance, social sciences, and business technology.

Editor-in-Chief - Doctor of Economics, Professor of the Georgian National University Davit Chakhvashvili / davit.chakhvashvili@seu.edu.ge

Международный рецензируемый и рецензируемый научный журнал -
Экономика и финансы

Журнал представляет собой академическое издательство, которое ежеквартально публикует научные статьи в таких областях, как экономика, финансы, социальные науки и бизнес-технологии.

Главный редактор – доктор экономических наук, профессор Грузинского Национального Университета Давит Чახვაშვილი / davit.chakhvashvili@seu.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია - ბახტრიონის ქ. 10 / თბილისი, საქართველო
Contact Info: Bakhtrioni street #10, T'bilisi, Georgia
(+995) 577 64 34 85 / ierd.science@gmail.com